„მოახლოებულ არს ჟამი", ოდეს უფალი მოვიდეს და **„...ვაი თქუენდა, მდიდარნო, რამეთუ მიგიღებიეს ნუგეშინის-ცემაი თქუენი. ვაი თქუენდა, გამაძღარნო აწ, რამეთუ გშიოდის; ვაი თქუენდა, რომელნი იცინით აწ, რამეთუ იგლოვდეთ და სტიროდით. ვაი თქუენდა, რაჟამს კეთილსა გეტყოდიან თქუენ კაცნი, რამეთუ ეგრეთვე უყოფდეს ცრუ-წინაწარმეტყველთა მამანი მათნი"** (ლუკ. 6, 25-26). დღეს ჩვენ გვეძლევა საშუალება, არა მარტო ვიქადაგოთ სახარება, არამედ საკუთარი ცხოვრებით დავამოწმოთ, რომ გამოხსნილნი ვართ ქრისტეს მიერ! თქვენ ისედაც ბევრი რამ იცით ქრისტეს შესახებ, ამიტომ საჭიროებთ არა იმდენად სახარების ქადაგებას, რამდენადაც უფრო ცოცხალ მოწმობას უფლის შესახებ იმ ადამიანებისაგან, რომლებიც უკვე ეზიარნენ ქრისტეს ჭეშმარიტებას და ამ ჭეშმარიტებამ გაათავისუფლა ისინი! **არ არის საკმარისი უწყოდე ქრისტეს შესახებ, — უნდა შეიმეცნო იგი და საკუთარ გულში ჰპოვო!** მთელი გულით უნდა განიცადო მისი სიყვარული! დაბოლოს, უნდა გააცნობიერო, რაოდენ უსაზღვრო უნდა იყოს ადამიანების მიმართ ღვთაებრივი სიყვარული, რომელმაც მას კაცობრიობის გამოსახსნელად და საცხოვნებლად ზეცით გარდამოსულისა და ჩვენთვის ჯვარცმისაკენ უბიძგა!

მოამზადა მარიამ გაგუამ

ქრონიკა. ინფორმაცია.

საეღდგომო კონფერენცია ზუგდიდში

8-10 აპრილს ქ. ზუგდიდში წმინდა გიორგის სახელობის გიმნაზიის ინიციატივითა და საპატრიარქოს განათლების ცენტრის თანადგომით ტარდება საეღდგომო ფესტივალი — სამეცნიერო კონფერენცია, საღვთისმეტყველო ლიტერატურის გამოფენა-გაყიდვა, მეთოდურ-პრაქტიკული კონფერენცია და მხატვრულ-შემოქმედებითი კონცერტი.

კონფერენციაში მონაწილეობას მიიღებს 15 ეპარქიის 22 სასწავლებელი.

ხელდასხმა

13 მარტს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ს ლოცვა-კურთხევით, დედოფლისწყაროსა და ჰერეთის ეპისკოპოსმა მელქისედეკმა (ხაჩიძე) აკურთხა გარდაბნის რაიონის, სოფელ ახალი სამგორის წმინდა ნინოს სახელობის ეკლესია.

წირვის მსვლელობის დროს მეუფე მელქისედეკმა მღვდლად დაასხა ხელი ყოვლადწმინდა სამების სახელობის საპატრიარქო ტაძრის ღვთისმსახურს, **დიაკვან ცოტნე თვარაძეს,** რომელიც ამავე ეკლესიის წინამძღვრად დაინიშნა.

***

21 მარტს ნინოწმინდის წმინდა ნინოს სახელობის საკათედრო ტაძარში საგარეჯოსა და ნინოწმინდის ეპისკოპოსმა ლუკამ (ლომიძე) დიაკვნად აკურთხა თბილისის სასულიერო აკადემიის V კურსის **სტუდენტი ზურაბ ბუჩუკური** და სახელად ლუკა უწოდა.

დიაკონი ლუკა ვარკეთილის მაცხოვრის შობის სახელობის ეკლესიის ღვთისმსახურად დაინიშნა.

***

28 მარტს ყოვლადწმინდა სამების სახელობის საპატრიარქო ტაძარში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ დიაკვნად აკურთხა ამავე ტაძრის სტიქაროსანი **ნიკოლოზ გივიშვილი.**

დიაკონი ნიკოლოზი ყოვლადწმინდა სამების სახელობის საპატრიარქო ტაძარში იმსახურებს.

***

28 მარტს ნინოწმიდის წმინდა ნინოს სახელობის საკათედრო ტაძარში საგარეჯოსა და ნინოწმიდის ეპისკოპოსმა ლუკამ (ლომიძე) დიაკვნად აკურთხა თბილისის სასულიერო აკადემიის კურსდამთავრებული **მამუკა არეშიძე** და სახელად მიქაელი უწოდა.

დიაკონი მიქაელი კრწანისის წმინდა ნიკოლოზის სახელობის ეკლესიაში იმსახურებს.

28 მარტს ნიკორწმინდის წმინდა ნიკოლოზის სახელობის საკათედრო ტაძარში ნიკორწმინდელმა მიტროპოლიტმა ელისემ (ჯოხაძე) მღვდლად დაასხა ხელი ამავე ტაძრის დიაკვანს **თორნიკე გეგეშიძეს.**

მღვდელი თორნიკე ნიკორწმინდის საკათედრო ტაძარში იმსახურებს.

28 მარტს წალენჯიხის მაცხოვრის ფერისცვალების სახელობის საკათედრო ტაძარში ზუგდიდისა და ცაიშის მიტროპოლიტმა გერასიმემ (შარაშენიძე) დიაკვნად აკურთხა **თემურ მესხია** და სახელად თეიმურაზი უწოდა.

დიაკონი თეიმურაზი წალენჯიხის საკათედრო ტაძარში იმსახურებს.

სამონაზვნედ კურთხევა

22 მარტს ერკეთის მთავარანგელოზთა სახელობის დედათა მონასტერში შემოქმედელმა მიტროპოლიტმა იოსებმა (კიკვაძე) სამონაზვნედ აკურთხა ამავე მონასტრის **მორჩილი ფოტინე გალოგრე** და სახელად ანა უწოდა.

აღკვეცა

27 მარტს ცაგერის ღვთისმშობლის მიძინების სახელობის საკათედრო ტაძარში ცაგერისა და ლენტეხის ეპისკოპოსმა სტეფანემ (კალაიჯიშვილი) ბერად აღკვეცა წმინდა მაქსიმე აღმსარებლის სახელობის მონასტრის მორჩილი დავით პირველი და სახელად საბა უწოდა.

დაჯილდოება

27 მარტს დიღომის წმინდა ლაზარეს აღდგინების სახელობის ეკლესიაში (კინოსტუდიის ეზოში) სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ ეკლესიაში ერთგული სამსახურისთვის დააჯილდოვა სამღვდელოება:

მეორე გამშვენებული ჯვრით — ამავე ტაძრის წინამძღვარი, **დეკანოზი გიორგი დადუნაშვილი**;

გამშვენებული ჯვრით — ამავე ტაძრის მღვდელმსახური, **დეკანოზი დავით ხაჭაპურიძე**, ყოვლადწმინდა სამების სახელობის საპატრიარქო ლავრის საძმოს წევრი, **ილუმენი ლაზარე (მახარაშვილი);**

ოქროს ჯვრით და დეკანოზის წოდებით — ამავე ტაძრის მღვდელმსახური, **მღვდელი თეოდორე ნადაშვილი.**

წინამძღვრად დანიშვნა

30 მარტს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ს ლოცვა-კურთხევით ქაშვეთის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის წინამძღვარი, **დეკანოზი ბიძინა გუნია** დაინიშნა ყოვლადწმინდა სამების სახელობის საპატრიარქო ტაძრის მღვდელმსახურად, ხოლო ქაშვეთის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის წინამძღვრად დაადგინეს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ეკლესიის (ლურჯი მონასტერი) მღვდელმსახური, **დეკანოზი მიქაელ ფოფხაძე,** რომელიც ამავე დღეს მეორე გამშვენებული ჯვრით დაჯილდოვდა.

იუბილე

8 აპრილს პარიზში ქართველები წმიდა ნინოს ეკლესიის დაარსების 80 წლისთავს აღნიშნავენ, პარაკლისის შემდეგ გაიმართება კონფერენცია.

ქართველი ბავშვები სამშობლოში

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორის ლოცვა-კურთხევით, დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის ორგანიზებითა და ხელშეწყობით, 2010 წლის იანვრიდან მოსწავლეთა ინტელექტუალური განვითარებისა და დახელოვნების საერთაშორისო ცენტრი - „კარიერა" უცხოეთში მცხოვრები ქართველი ბავშვების სამშობლოში სტუმრობის პროექტის განხორციელებას გეგმავს.

პროექტის მიხედვით, სამშობლოს ფარგლებს გარეთ მცხოვრებ საქართველოს შვილებს ათი დღის განმავლობაში (ერთ ან ორ მოზარდს) უმასპინძლებენ ქართული ოჯახები; ქართულ ტრადიციებსა და კულტურას გააცნობენ. ამასთანავე, მიმღებ ოჯახებს ევალებათ, თანხმობის შემთხვევაში, მოზარდის (ან მოზარდების) ეკლესიაში წირვაზე დასწრების ორგანიზება.

ჩვენი თანამემამულე მოზარდების ქართულ ოჯახებში სტუმრობა ხელს შეუწყობს მათ ინტეგრაციას ადგილობრივ ბავშვებთან და, საზოგადოდ, ქართულ საზოგადოებასთან.

აღნიშნული პროექტი ასევე ითვალისწინებს საქართველოში მცხოვრებ მოზარდთა სტუმრობას საქართველოს ფარგლებს გარეთ მყოფ ქართველთა ოჯახებში (გაცვლითი პროგრამა).

მასპინძლობის მსურველ ოჯახებს ვთხოვთ გამოგვეხმაურონ შემდეგ მისამართზე:

ქ. თბილისი, ტიციან ტაბიძის 114;

ტელ.: 100-100 (824) 127 296; (824) 120 862; მობ.: (899) 420 435; (893) 549 267.

მოსწავლეთა ინტელექტუალური განვითარებისა და დახელოვნების საერთაშორისო ცენტრი „კარიერა";

http://kari-era.ge; E-mail: info@kari-era.ge

კალიგრაფიის კონკურსი

29 მარტს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში კალიგრაფიის კონკურსის საფინალო ტური ჩატარდა. კონკურსანტებმა დასკვნით ეტაპამდე მიაღწიეს და შემეცნებით გასაუბრებაში მიიღეს მონაწილეობა, რაც მათ მესამე ტურის დავალების შესრულებაში დაეხმარებათ. გამარჯვებულები 14 აპრილს - „დედაენის" დღეს დასახელდებიან.

კონკურსი „ქართული კალიგრაფია" ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და არასამთავრობო ორგანიზაცია „წამის" ერთობლივი პროექტია, რომელშიც მონაწილეობდნენ და საფინალო ტურშიც გადავიდნენ უცხოეთში მცხოვრები ჩვენი თანამემამულეები.

გამარჯვებულთათვის ნომინაციებს ჟიური დაადგენს. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ნომინანტებს დიპლომებსა და ფასიან საჩუქრებს გადასცემს. ჯილდოებს დააწესებს საქართველოს საპატრიარქო, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ორგანიზაცია „წამი" და სხვ. კონკურსში მონაწილე მოსწავლეთა მიერ შექმნილი საუკეთესო კალიგრაფიული ნიმუშები პროფესიონალ კალიგრაფთა ნამუშევრებთან ერთად, ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში შეინახება. გამარჯვებულთა ხელნაწერების გამოყენებით, ალბომი და 2011 წლის კალენდარი დაიბეჭდება.

სამძიმარი

საპატრიარქოს პრესცენტრი სამძიმარს უცხადებს, მეტეხის ღვთისმშობლის შობის სახელობის ტაძრის მღვდელმსახურს, დეკანოზ რაფაელ ხაჭაპურიძესა და მართალი ლაზარეს აღდგინების სახელობის ტაძრის

ველწოდებულის სახელობის ეკლესიის წინამძღვარმა, მღვდელმა კონსტანტინე კოლუაშვილმა, რომელმაც აფხაზეთში მრევლის მიერ შენირული სანთლები ჩაიტანა.

1 აპრილს, სვეტიცხოვლის საპატრიარქო ტაძარში, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, მღვდელი კონსტანტინე ბერად აღკვეცეს და მღვდელმონაზონი დავითი უწოდეს.

ხელდასხმა

11 აპრილს ნინოწმიდის წმინდა ნინოს სახელობის საკათედრო ტაძარში საგარეჯოსა და ნინოწმიდის ეპისკოპოსმა ლუკამ (ლომიძე) დიაკვნად აკურთხა ყოვლადწმინდა სამების სახელობის საპატრიარქო ლავრის საძმოს წევრი, ბერი კონსტანტინე (ნარუაშვილი).

ბერდიაკონი კონსტანტინე სამების საპატრიარქო ტაძარში იმსახურებს.

* * *

13 აპრილს ნინოწმიდის წმინდა ნინოს სახელობის საკათედრო ტაძარში საგარეჯოსა და ნინოწმიდის ეპისკოპოსმა ლუკამ (ლომიძე) დიაკვნად აკურთხა ყოვლადწმინდა სამების სახელობის საპატრიარქო ლავრის საძმოს წევრი, ბერი პეტრე (სუჯაშვილი).

ბერდიაკონი პეტრე სამების საპატრიარქო ტაძარში იმსახურებს.

* * *

18 აპრილს სვეტიცხოვლის თორმეტი მოციქულის სახელობის საპატრიარქო ტაძარში ახალციხისა და ტაო-კლარჯეთის მიტროპოლიტმა თეოდორემ (ჭუაძე) დიაკვნად აკურთხა ძალაანთხევის წმინდა ბასილი დიდის სახელობის მამათა მონასტრის საძმოს წევრი, ბერი რაფიელი (ბერიტაშვილი).

ბერდიაკონი რაფიელი ძალაანთხევის მონასტერში იმსახურებს.

* * *

28 მარტს დედოფლისწყაროს ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის საკათედრო ტაძარში დედოფლისწყაროსა და ჰერეთის ეპისკოპოსმა მელქისედეკმა (ხაჩიძე) მღვდლად დაასხა ხელი ამავე ტაძრის დიაკვანს პეტრე ხუმარაშვილს.

* * *

11 აპრილს მირზაანის წმინდა თომა მოციქულის სახელობის ეკლესიაში დედოფლისწყაროსა და ჰერეთის ეპისკოპოსმა მელქისედეკმა (ხაჩიძე) მღვდლად დაასხა ხელი დედოფლისწყაროს საკათედრო ტაძრის დიაკვანს ლუკა ჯალიაშვილს.

აღკვეცა

30 მარტს ხონისა და სამტრედიის მიტროპოლიტმა საბამ (გიგიბერია) მათხოჯის წმინდა ნინოს სახელობის დედათა მონასტერში მონაზვნად აღკვეცა მორჩილები: შორენა პიტავა და სახელად უწოდა ანასტასია, ლიკლიკაძე ნანა და უწოდა მარიამი.

ტაძრის კურთხევა

11 აპრილს დედოფლისწყაროსა და ჰერეთის ეპისკოპოსმა მელქისედეკმა (ხაჩიძე) აკურთხა მირზაანის წმინდა თომა მოციქულის სახელობის ეკლესია.

სამძიმარი

საქართველოს საპატრიარქო მწუხარებით იუწყება, რომ ამა წლის 3 აპრილს, ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა თბილისის ქვემო ბეთლემის მაცხოვრის შობის სახელობის ეკლესიის მღვდელმსახური, მღვდელი ანდრია პაპუაშვილი და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით მღვდელი ანდრია ზემო ბეთლემის ეკლესიის ეზოში დაასაფლავეს.

მკითხველს ვთხოვთ, ლოცვებში მოიხსენიოს ახლად შესვენებული მღვდელი ანდრია.

შეეწიეთ სნეულს

გორის რაიონის სოფელი ქურთას მკვიდრთ, დევნილ ოჯახს, დედა-შვილ მახარაშვილებს ესაჭიროებათ გადაუდებელი სამედიცინო მკურნალობა. საქართველოს ბანკში მათ სახელზე გახსნილია ანგარიში:

სს „საქართველოს ბანკი"
ცენტრალური ფილიალი (კოდი) 220101502
მიმღების ანგარიშის ნომერი 191848300
მიმღები — მახარაშვილი ციური

საპატრიარქოს რელიგიური ტურიზმის დეპარტამენტი

საპატრიარქოს რელიგიური ტურიზმის დეპარტამენტი გიწვევთ მოილოცოთ წმინდა ადგილები:

რუისი —ურბნისი. 24 აპრილი; შაბათი; გასვლა 8 სთ; ფასი 14 ლ;

ბოდბე-ხირსა. 25 აპრილი; კვირა; გასვლა 8 სთ; ფასი 15 ლ;

ზედაზენი-მცხეთა 1 მაისი; შაბათი; გასვლა 8სთ; ფასი 14 ლ;

გარეჯი. 2 მაისი; კვირა; გასვლა 8სთ; ფასი 15 ლ;

ისრაელი, წმიდა მიწა სულთმოფენობის დღესასწაულისათვის. 20-27 მაისი;

ფასი 1 500$; საბუთების მიღება 3 მაისამდე;

მომლოცველებს მოემსახურება გიდი.

ბილეთები გაიყიდება შემდეგ მისამართებზე:

„წმიდა კუთხე" ბახტრიონის ქ. 8

ჩიტაიას ქ. 39 ; ლესელიძის ქ. 30

ქაშუეთის წმინდა გიორგის ტაძართან არსებული მაღაზია, რუსთაველის 9

დიდუბის ღვთისმშობლის ტაძართან არსებული მაღაზია, ნერეთლის 44

ლებს. ფილმი, რომლის გადაღებებიც ათი თვის განმავლობაში მიმდინარეობდა, თემურ ჭკუასელის სცენარის მიხედვითაა შექმნილი.

პანაშვიდი მამა ვიტალის საფლავზე

4 მაისს წმინდა ალექსანდრე ნეველის სახელობის ტაძარში გორისა და სამთავისის მთავარეპისკოპოსმა ანდ-

რიამ სქემარქიმანდრიტ ვიტალის სიდორენკო საფლავზე პანაშვიდი გადაიხა. პანაშვიდს მრავალრიცხოვანი მრევლი დაესწრო.

დაჯილდოება

2 მაისს ყოვლადწმინდა სამების სახელობის საპატრიარქო ტაძარში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ ეკლესიაში ერთგული სამსახურისათვის დააჯილდოვა მცხეთა-თბილისის ეპარქიის სამღვდელოება:

გამშვენებული ჯვრით — ბახტრიონის ჯვართამაღლების სახელობის ეკლესიის მღვდელმსახური, დეკანოზი გიორგი უგრეხელიძე;

გამშვენებული ჯვრით — საბურთალოს წმინდა კვირიკესა და ივლიტას სახელობის ეკლესიის მღვდელმსახური, დეკანოზი ზურაბ მჭედლიშვილი;

ოქროს ჯვრითა და დეკანოზის წოდებით — ყოვლადწმინდა სამების სახელობის საპატრიარქო ტაძრის მღვდელმსახური, მღვდელი ნოდარ ქათამაძე.

* * *

6 მაისს ყოვლადწმინდა სამების სახელობის საპატრიარქო ტაძარში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ ეკლესიაში ერთგული სამსახურისათვის დააჯილდოვა მცხეთა-თბილისის ეპარქიის სამღვდელოება:

მიტრით — წმინდა ნინოს სახელობის ეკლესიის (ჩხეიძის ქუჩა) წინამძღვარი, *დეკანოზი რევაზ ოთარაშვილი;*

ოქროს ჯვრითა და დეკანოზის წოდებით — მეტეხის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის შობის სახელობის ეკლესიის მღვდელმსახური, *მღვდელი ანტონ კიკნაველიძე*, ავჭალის წმინდა იოანე ნათლისმცემლის სახელობის ეკლესიის მღვდელმსახური, *მღვდელი გურამ ბერძული;*

ოქროს ჯვრითა და იღუმენიას წოდებით — ავჭალის წმინდა იოანე ნათლისმცემლის სახელობის დედათა მონასტრის წინამძღვარი, *მონაზონი იოანა (კვირკველია).*

* * *

9 მაისს სვეტიცხოვლის თორმეტი მოციქულის სახელობის საპატრიარქო ტაძარში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ ეკლესიაში ერთგული სამსახურისათვის დააჯილდოვა სამღვდელოება:

გამშვენებული ჯვრითა და მიტრით — დიღომის წმინდა მარინეს სახელობის ეკლესიის წინამძღვარი, *დეკანოზი დავით ისაკაძე;*

გამშვენებული ჯვრით — მოწამეთას წმინდა დავით და კონსტანტინეს სახელობის მამათა მონასტრის წინამძღვარი, *იღუმენი ელიაზარი (ივანეიშვილი).*

ტაძრის კურთხევა

5 მაისს სტეფანწმინდისა და ხევის *მთავარეპისკოპოსმა იეგუდიელმა (ტაბატაძე)* აკურთხა დიღმის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია.

მეორე დღეს, წირვის მსვლელობისას, მეუფე იეგუდიელმა მღვდლად დაასხა ხელი ყოვლადწმინდა სამების სახელობის საპატრიარქო ტაძრის *დიაკვანს გელა ჩადუნაშვილს*, რომელიც ამავე ტაძარში იმსახურებს. წირვის შემდეგ ტაძარი მოილოცა და წმინდა გიორგის პარაკლისი აღავლინა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ.

ტაძრის წინამძღვრად დაინიშნა *დეკანოზი მიქაელ თევზაძე*, რომელიც ამავე დღეს მიტრის ტარების უფლებით დაჯილდოვდა.

* * *

8 მაისს ბათუმისა და ლაზეთის მიტროპოლიტმა დიმიტრიმ (შიოლაშვილი) აკურთხა ქობულეთის წმინდა მარკოზ მახარებლის სახელობის ეკლესია.

ტაძრის წინამძღვრად დაინიშნა *დეკანოზი მარკოზ ბექაია.*

ხელდასხმა

6 მაისს, გიორგობის დღესასწაულზე, ქაშვეთის წმინდა გიორგის სახელობის ტაძარში, ახალციხისა და

ტაო-კლარჯეთის მიტროპოლიტმა თეოდორემ (ჭუაძე) მღვდლად დაასხა ხელი ამავე ტაძრის დიაკვანს — დავით ციცქიშვილს, ხოლო დიაკვნად — ამავე ტაძრის კეთილმოწესეს, რევაზ ბაიდაშვილს.

* * *

9 მაისს ბოლნისის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის საკათედრო ტაძარში ბოლნელმა ეპისკოპოსმა ეფრემმა (გამრეკელიძე) მღვდლად დაასხა ხელი სიონის საპატრიარქო ტაძრის დიაკვანს დავით გელბახიანს.

წინამძღვრად დანიშვნა

6 მაისს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ს ლოცვა-კურთხევით, საგურამოს წმინდა ილია მართლის სახელობის ეკლესიის მღვდელმსახური, *არქიმანდრიტი ამბროსი (მაღლაკელიძე)* დაინიშნა თბილისის წმინდა კოზმა და დამიანეს სახელობის ეკლესიის (ასათიანის ქუჩა) წინამძღვრად.

საპატრიარქოს რელიგიური ტურიზმის დეპარტამენტი

საპატრიარქოს რელიგიური ტურიზმის დეპარტამენტი გიწვევთ მოილოცოთ წმინდა ადგილები:

ტიმოთესუბანი- სადგერის წმ.გიორგი-მწვანე მოიასტერი (ამაღლება) — 13 მაისი; ხუთშაბათი; გასვლა 8 სთ; ფასი 19 ლ;

ბეთანია-მანგლისი — (თამარობა) 14 მაისი; პარასკევი; გასვლა 8 სთ; ფასი 15 ლ;

ბოლნისი-ცურტავი-წულრულაშენი — 15 მაისი; შაბათი; გასვლა 8 სთ; ფასი 16 ლ;

მარტყოფი-ღვთაება — 16 მაისი; კვირა; გასვლა 8 სთ; ფასი 15 ლ;

გარეჯი (წმ. დავით გარეჯელის ხსენება, სადღესასწაულო ლიტურგიაზე დასწრება-ღამისთევით) — 19 მაისი; ოთხშაბათი; გასვლა 22 სთ; ფასი 15 ლ;

გარეჯი (წმ. დავით გარეჯელის ხსენება) — 20 მაისი; ხუთშაბათი; გასვლა 8 სთ; ფასი 15 ლ;

შიო-მღვიმე- (წმ. შიო მღვიმელის ხსენება, სადღესასწაულო ლიტურგიაზე დასწრება-ღამისთევით) — 21 მაისი;პარასკევი; გასვლა 23 სთ; ფასი 14 ლ;

შიო-მღვიმე-მცხეთა — (წმ. შიო მღვიმელის ხსენება) 22 მაისი; შაბათი; გასვლა 8 სთ; ფასი 14 ლ;

ყინწვისი-სამწევრისი — (წმ. ნიკოლოზის ხსენება) 22 მაისი; შაბათი; გასვლა 8 საათზე; ფასი 15 ლ;

ტაო-კლარჯეთი — 21-23 მაისი; საბუთების მიღება 19 მაისამდე; ფასი 150 $ გასვლა 7:00 სთ.

მომლოცველებს მოემსახურება გიდი.

ბილეთები გაიყიდება შემდეგ მისამართებზე:

„წმიდა კუთხე" ბახტრიონის ქ. 8;

ჩიტაიას ქ. 39 ; ლესელიძის ქ.30;

ქაშუეთის წმ. გიორგის ტაძართან არსებული მაღაზია, რუსთაველის 9;

დიდუბის ღვთისმშობლის ტაძართან არსებული მაღაზია, წერეთლის 44;

ავტობუსები გადის სპორტის სასახლის მიმდებარე ტერიტორიიდან.

ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით ტელ: ***92 39 78*** **(11-დან 17 სთ-მდე);** ტელ/ფაქ: ***92 39 79***

ელ.ფოსტა: **piligrim_church@yahoo.com**

(879) 01 08 64;

უფასო სამედიცინო კონსულტაცია

„ჯვრის მამასთან" არსებული სამედიცინო სამსახური აცხადებს უფასო კონსულტაციებს:

რევმატოლოგი — 13 მაისს, 16.30-18.00 სთ.;

ალერგოლოგი — 14 მაისს, 16.00-17.00 სთ.;

ფთიზიატრი, პულმონოლოგი — 15 მაისს, 13.00-14.00 სთ.;

ანგიოლოგი — 15 მაისს, 14.00-15.00 სთ.;

ენდოკრინოლოგი — 15 მაისს, 15.00-17.00 სთ.;

დერმატოლოგი — 16 მაისს, 12.00-14.00 სთ.;

ოტო-რინო-ლარინგოლოგი — 19 მაისს, 16.00-17.00 სთ.

კარდიოლოგი ყოველდღე — 12.00-14.00 სთ., შაბათ-კვირის გარდა.

ყბა-სახის ქირურგის (სახის ანთებითი პროცესები, ტრავმული დაზიანებები, ანომალიები), ბავშვთა ორთოპედის, ბავშვთა კარდიოლოგის, ბავშვთა ნევროპათოლოგის, ინფექციონისტის, უროლოგის, გინეკოლოგის და ნეფროლოგის, მიღების საათებთან დაკავშირებით,

დაგვირეკეთ: 8 99 57 65 31

საქართველოს საპატრიარქოსთან არსებული ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრის განცხადებები

საქართველოს საპატრიარქოსთან არსებული ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრში (წმ. სამების საკათედრო ტაძარი), ყოველდღე, 15.00—საათზე, იმართება შემეცნებითი საუბრები. დასწრება თავისუფალია.

ხუთშაბათი 13.05.10 — ამაღლების დღესასწაულის გამო, შემეცნებითი საუბარი არ გაიმართება.

პარასკევი 14.05.10 — ქრისტიანული ოჯახი და ბავშვთა აღზრდა; თემა: „ბავშვის ტაძრად მიყვანება"

საუბარს წარმართავს წმ. იოანე ღვთისმეტყველის ტაძრის მღვდელმსახური კონსტანტინე (გიორგაძე)

კვირა 16.05.10 — ფილმის ჩვენება.

ლექსო გელაშვილის ფილმის — „საკურთხეველის" (შემოქმედის ეპარქია) ჩვენება.

ლი, ქართული კულტურულ-რელიგიური ცენტრების ხელშეწყობისა და განვითარების მნიშვნელოვანი საკითხები განიხილეს.

ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის ინფორმაციული უზრუნველყოფის სამმართველო

წიგნის პრეზენტაცია საპატრიარქოში

11 მაისს საპატრიარქოში გაიმართა „ფსალმუნნის" (ძველი ქართული კანონიკური (მხედრული და ნუსხური) და თანამედროვე ქართულ ენაზე ადაპტირებული პარალელური ტექსტების პრეზენტაცია. „ფსალმუნნი" სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესის და უნეტარესის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით გამოიცა და მის გამოცემაზე მუშაობდნენ პროფესორი ირინე მელიქიშვილი, პროფესორი ლელა ხაჩიძე, მწერალი გურამ დოჩანაშვილი, დეკანოზი მიქაელ გალდავა, დეკანოზი ლევან მათეშვილი, სალომე ზვიადაძე და ქეთევან გადილია.

პრეზენტაციას ესწრებოდნენ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმიდესი და უნეტარესი ილია II, ახალციხისა და ტაო-კლარჯეთის მიტროპოლიტი თეოდორე (ჭუაძე), ცურტაველი ეპისკოპოსი იაკობი (იაკობიშვილი), ცაგერისა და ლენტეხის ეპისკოპოსი სტეფანე (კალაიჯიშვილი), დედოფლისწყაროსა და ჰერეთის ეპისკოპოსი მელქისედეკი (ხაჩიძე), ვიცე-პრემიერი გიორგი ბარამიძე, სასულიერო პირები, საზოგადოების წარმომადგენლები.

ხელდასხმა

13 მაისს საგარეჯოსა და ნინოწმინდის ეპისკოპოსმა ლუკამ (ლომიძე) ნინოწმინდის წმინდა ნინოს სახელობის საკათედრო ტაძარში მღვდლად დაასხა ხელი ქაშვეთის წმინდა გიორგის სახელობის ტაძრის დიაკვანს ლევან ჟღენტს, ხოლო დიაკვნად — ქაშვეთის ტაძრის მნათეს, თბილისის სასულიერო სემინარიის კურსდამთავრებულს მიქაელ მეკრავიშვილს.

* * *

16 მაისს დედოფლისწყაროს ღვთისმშობლის მიძინების სახელობის საკათედრო ტაძარში დედოფლისწყაროსა და ჰერეთის ეპისკოპოსმა მელქისედეკმა (ხაჩიძე) დიაკვნად აკურთხა ქაშვეთის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის სტიქაროსანი, თბილისის სასულიერო სემინარიის კურსდამთავრებული პავლე შავიძე.

საპატრიარქოს რელიგიური ტურიზმის დეპარტამენტი

საპატრიარქოს რელიგიური ტურიზმის დეპარტამენტი გიწვევთ მოილოცოთ წმინდა ადგილები:

გარეჯი — (წმ. დავით გარეჯელის ხსენება, სადღესასწაულო ლიტურგიაზე დასწრება-ღამისთევით) 19 მაისი;

ოთხშაბათი; გასვლა 22 სთ; ფასი 15 ლ;

გარეჯი — (წმ. დავით გარეჯელის ხსენება) 20 მაისი; ხუთშაბათი; გასვლა 8 სთ; ფასი 15 ლ;

შიო-მღვიმე — (წმ. შიო მღვიმელის ხსენება, სადღესასწაულო ლიტურგიაზე დასწრება-ღამისთევით) 21 მაისი;

პარასკევი; გასვლა 23 სთ; ფასი 14 ლ;

შიო-მღვიმე-მცხეთა —(წმ. შიო მღვიმელის ხსენება) 22 მაისი; შაბათი; გასვლა 8 სთ; ფასი 14 ლ;

ყინწვისი-სამწევრისი — (წმ. ნიკოლოზის ხსენება) 22 მაისი; შაბათი; გასვლა 8 საათზე; ფასი 15 ლ;

გერგეთის სამება — (სულთმოფენობა, წმ.სამების დღე) 23 მაისი; კვირა; გასვლა 8 სთ; ფასი 19 ლ;

ლომისის წმ. გიორგი — (ლომისობა) 26 მაისი; ოთხშაბათი; გასვლა 8სთ; ფასი 16 ლ;

რუისი-ურბნისი-ბრეთი — 29 მაისი; შაბათი; გასვლა 8 სთ; ფასი 15 ლ;

ზარზმა — (ლიტურგიაზე დასწრება) 30 მაისი; კვირა; გასვლა 7 სთ; ფასი 20 ლ;

ბოდბე — (წმ. ნინოს ხსენება) 31 მაისი; ორშაბათი; გასვლა 22 სთ; ფასი 15 ლ;

ბოდბე-ხირსა — (წმ. ნინოს ხსენება) 1 ივნისი; სამშაბათი; გასვლა 8 სთ; ფასი 15 ლ;

ტაო-კლარჯეთი — 21-23 მაისი; საბუთების მიღება 19 მაისამდე; ფასი 150 $ გასვლა 7:00 სთ.

მომლოცველებს მოემსახურება გიდი

ბილეთები გაიყიდება შემდეგ მისამართებზე:

„წმიდა კუთხე" ბახტრიონის ქ. 8

ჩიტაიას ქ. 39 ; ლესელიძის ქ.30

ქაშუეთის წმ. გიორგის ტაძართან არსებული მაღაზია, რუსთაველის 9 **დიდუბის ღვთისმშობლის ტაძართან არსებული მაღაზია,** წერეთლის 44

ავტობუსები გადის სპორტის სასახლის მიმდებარე ტერიტორიიდან.

ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით ტელ: *92 39 78* **(11-დან 17 სთ-მდე)**; ტელ/ფაქ: *92 39 79*

ელ.ფოსტა: **piligrim_church@yahoo.com**

(879) 01 08 64;

ხელდასხმა

16 მაისს ყოვლადწმინდა სამების სახელობის საპატრიარქო ტაძარში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ მღვდლად დაასხა ხელი ამავე ტაძრის ღვთისმსახურს, *დიაკვან გაბრიელ გიგაურს.*

მღვდელი გაბრიელი დიღმის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიაში იმსახურებს.

დაჯილდოება

12 მაისს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ეკლესიაში (არამიანცის საავადმყოფო) სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ ეკლესიაში ერთგული სამსახურისათვის გამშვენებული ჯვრით დააჯილდოვა ამავე ტაძრის მღვდელმსახური, *დეკანოზი ბასილ როსტიაშვილი.*

* * *

20 მაისს დავით გარეჯის მამათა მონასტერში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ ეკლესიაში ერთგული სამსახურისათვის მეორე გამშვენებული ჯვრით დააჯილდოვა ამავე მონასტრის წინამძღვარი, *არქიმანდრიტი ილარიონი (ჭილლაძე).*

* * *

23 მაისს ყოვლადწმინდა სამების სახელობის საპატრიარქო ტაძარში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ ეკლესიაში ერთგული სამსახურისათვის დააჯილდოვა სამღვდელოება:

არქიმანდრიტის წოდებით: ყოვლადწმინდა სამების სახელობის საპატრიარქო ლავრის მღვდელმსახური, *ილუმენი პიმენი (ქარდავა);* პარიზის წმინდა თამარ მეფის სახელობის ეკლესიის წინამძღვარი (დასავლეთ ევროპის ეპარქია), *ილუმენი ანტონი კანდელაკი;* ბარის წმინდა ნიკოლოზის სახელობის ეკლესიის მღვდელმსახური (დასავლეთ ევროპის ეპარქია), *ილუმენი მოსე (ჭანკვეტაძე).*

გამშვენებული ჯვრით — ქუთაის-გაენათის ეპარქიის მღვდელმსახური, *დეკანოზი დავით სალაძე.*

ოქროს ჯვრითა და დეკანოზის წოდებით — ვარკეთილის ზემო პლატოს ივერიის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატის სახელობის ეკლესიის წინამძღვარი, *მღვდელი იაკობ უშიკიშვილი.*

ოქროს ჯვრითა და ილუმენის წოდებით — მარტყოფის ყოველთა წმიდათა სახელობის მამათა მონასტრის კეთილმონესე, *მღვდელ-მონაზონი ელისე (აბრამიშვილი);* თაბორის მთის მაცხოვრის ფერისცვალების სახელობის მამათა მონასტრის მღვდელმსახური, *მღვდელ-მონაზონი დავითი (დავითაშვილი).*

* * *

24 მაისს ვაკის ყოვლადწმინდა სამების სახელობის ეკლესიაში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ ეკლესიაში ერთგული სამსახურისათვის დააჯილდოვა სამღვდელოება:

გამშვენებული ჯვრით — ამავე ტაძრის მღვდელმსახური, *დეკანოზი თეიმურაზ ბარაბაძე.*

ოქროს ჯვრითა და ილუმენის წოდებით — ყოვლადწმინდა სამების სახელობის ეკლესიის მღვდელმსახური (საჯარო ბიბლიოთეკის უკან), *მღვდელ-მონაზონი აბიათარი (ქაფიანიძე).*

ლექცია კონსერვატორიაში

24 მაისს კონსერვატორიაში რუსთავისა და მარნეულის ეპისკოპოსმა იოანემ (გამრეკელი) წაიკითხა ლექცია ძველი ქართული საეკლესიო გალობის კონიკურობისთვის. ლექციას ესწრებოდნენ კონსერვატორიის პედაგოგები და სტუდენტები.

ახალი გამოცემა

გამოვიდა საქართველოს ეროვნული აკადემიის წევრის, ლევან გვეტაძის წიგნი „წმიდა მეფეები მირიანი და ლუარსაბ მეორე".

წიგნში თანამედროვე მკითხველისათვის ადაპტირებული სახითაა გადმოცემული პირველი ქართველი ქრისტიანი მეფის — მოციქულთა სწორი მირიანისა და ლუარსაბ წამებულის ცხოვრება და მოღვაწეობა. წიგნი გამოიცა ქაშვეთის წმინდა გიორგის ეკლესიის დეკანოზ ელიზბარ ოდიშვილის ლოცვა-კურთხევითა და ქალაქ თბილისის მერიის თანადგომით.

„ამერ-იმერის" კონცერტი კინომსახიობთა თეატრში

17 მაისს მიხეილ თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა თეატრში გაიმართა წმინდა ანდრია პირველწოდებულის ეკლესიასთან (ლურჯი მონასტერი) არსებული საბავშვო სტუდიის „ამერ-იმერის" და წნორის წმინდა ილია მართლის ეკლესიასთან არსებული საბავშვო სტუდია „ამერ-იმერის" გაერთიანებული კონცერტი. კონცერტზე „ამერ-იმერის" მოსწავლეებმა შეასრულეს საგალობლები, ხალხური სიმღერები და თეატრალიზებული სახით წარმოადგინეს მითოლოგიური ამირანის ბავშვობა.

საბავშვო სტუდია „ამერ-იმერი" 1991 წელს შეიქმნა და მისი დამაარსებლები იყვნენ ედიშერ გარაყანიძე და ნინო ბაღათურია.

უფასო სამედიცინო კონსულტაცია

„ჯვრის მამასთან" არსებული სამედიცინო სამსახური აცხადებს უფასო კონსულტაციებს:

ანგიოლოგი — 29 მაისს, 13.00-14.00 სთ.;

ენდოკრინოლოგი — 29 მაისს, 14.00-16.00 სთ.;

ოტო-რინო-ლარინგოლოგი — 2 ივნისი, 16.00-

შვილგარდაცვლილმა დედებმა ყოვლადწმინდა სამების საპატრიარქო ტაძრისთვის თავიანთი შვილების სულების საოხად ჯვარცმა შესწირეს. ჯვარცმა მუხის მასალისგან დამზადდა, მისი საფუძველია ორიგინალური ფორმის მუხის სადგამი, რომელზეც გამოკვეთილია მაცხოვრის ამქვეყნიური ცხოვრების ამსახველი ბარელიეფები. ჯვარცმა შეასრულა ოსტატმა თამაზ ჩერტყოშვილმა. მისმა ვაჟმა, გიორგი ჩერტყოშვილმა დედების დაკვეთით დაწერა ცხრა ძმა ხერხეულიძის, მათი დედისა და დის ხატი.

შვილგარდაცვლილმა დედებმა შესწირეს ასევე ორი დიდი გობი სეფისკვერებისათვის, თვალ-მარგალიტით შემკული ლოცვანი და კელაპტრები.

შეხვედრა დასრულდა საპატრიარქოს ტელევიზია „ერთსულოვნების" რეჟისორის სპარტაკ ფარჯიანის ფილმით „გარდაცვალება — ახალი სიცოცხლის დასაწყისი".

შვილგარდაცვილმა დედებმა აღუთქვეს კათოლიკოს-პატრიარქს, რომ იმდღესვე გაიხდიდნენ ძაძებს.

კათოლიკოს-პატრიარქი პედაგოგებსა და მოსწავლეებს შეხვდა

28 მაისს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II 157-ე საჯარო სკოლის პედაგოგებსა და მოსწავლეებს შეხვდა. საუბარი შეეხო სკოლაში არსებულ პრობლემებსა და მათი გადაჭრის გზებს.

კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ დალოცა ბავშვები და მათი პედაგოგები და შემდგომი წარმატებები უსურვა.

ტაძრის კურთხევა

30 მაისს რუსთავისა და მარნეულის ეპისკოპოსმა იოანემ (გამრეკელი) თბილისში, დიდი დიღმის დასახლებაში, აკურთხა წმინდა ნიკოლოზის სახელობის ახალი ტაძარი.

ტაძარი ბაზილიკური ტიპისაა. კანკელის ხატები დაწერა ხატმწერმა გიორგი ეგნატაშვილმა.

ტაძრის წინამძღვრად დაინიშნა მღვდელი მერაბ დეკანოსიძე.

დაჯილდოება

30 მაისს ყოვლადწმინდა სამების სახელობის საპატრიარქო ტაძარში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ ეკლესიაში ერთგული სამსახურისათვის დააჯილდოვა მცხეთა-თბილისის ეპარქიის სამღვდელოება:

გამშვენებული ჯვრით — წყნეთის წმინდა ნინოს სახელობის ეკლესიის წინამძღვარი, *დეკანოზი მიქაელ აბულაძე*; ნაძალადევის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის შობის სახელობის ეკლესიის წინამძღვარი, *დეკანოზი კახაბერ გოგოტიშვილი.*

ოქროს ჯვრითა და დეკანოზის წოდებით — საბურთალოს წმინდა ნინოს სახელობის ეკლესიის მღვდელმსახური, *მღვდელი დავით რუხაძე*; თბილისის წმინდა ჯვრის მამის სახელობის ეკლესიის **მღვდელმსახური, *მღვდელი თავმას ჩოხელი.***

მილოცვა

„საპატრიარქოს უწყებანი" დიდი პატივისცემითა და სიყვარულით ულოცავს მის მაღალყოვლადუსამღვდელოესობას, ურბნისისა და რუისის მიტროპოლიტ იობს (აქიაშვილი) დაბადებიდან ორმოცდამეათე წლისთავს.

უფლის შეწევნით, მრავალჟამიერ და ღირსეულად გეღვაწოთ საქართველოს ეკლესიის საკეთილდღეოდ.

განცხადება

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით საპატრიარქოსთან დაარსდა უფასო საინფორმაციო, სულიერ-ფსიქოლოგიური დახმარების სატელეფონო სამსახური „თანადგომა".

„თანადგომა" მუშაობს ყოველდღე, 11.00-18.00 სთ.-მდე, შაბათ-კვირის და საუფლო დღესასწაულების გარდა.

საკონტაქტო ტელეფონი: 43 55 00

საქართველოს საპატრიარქოსთან არსებული კრეაციული საზოგადოების სამეცნიერო საბჭოს სხდომა

საქართველოს საპატრიარქოსთან არსებული კრეაციული საზოგადოების შემდეგი სხდომა შედგება **12 ივნისს, შაბათს, 10 სთ-ზე** საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში, VI კორპუსი (გ. სააკაძის მოედანი), IX სართული, ბეჟან კალანდაძის სახ. აუდიტორია.

სხდომის თემატიკა **„სახელმწიფო და რელიგია".**

სხდომა ჩატარდება მრგვალი მაგიდის ფორმით IV საერთაშორისო კონფერენციის ფარგლებში — **„ხელისუფლება და საზოგადოება".**

ინფორმაცია კონფერენციის შესახებ იხ. ვებგვერდზე **www.odageorgia.ge**

საპატრიარქოს რელიგიური ტურიზმის დეპარტამენტი

საპატრიარქოს რელიგიური ტურიზმის დეპარტამენტი გიწვევთ მოილოცოთ წმინდა ადგილები:

გარეჯი — 5 ივნისი; შაბათი; გასვლა 8 სთ; ფასი 15 ლ.

მარტყოფი-ღვთაება — 5 ივნისი; შაბათი; გასვლა 8 სთ; ფასი 15 ლ.

იყალთო-შუამთა-ალავერდი — 6 ივნისი; კვირა; გასვლა 8 სთ; ფასი 19 ლ;

ბეთანია-მანგლისი — 6 ივნისი; კვირა; გასვლა 8 სთ; ფასი 15 ლ;

კაბადოკია — 16-21 ივნისი; საბუთების მიღება 14 ივნისამდე; ფასი 320$გასვლა 7:00 სთ.

ტაო-კლარჯეთი — 25-27 ივნისი; საბუთების მიღება 22 ივნისამდე; ფასი 150$; გასვლა 7:00 სთ.

მომლოცველებს მოემსახურება გიდი.

ბილეთები გაიყიდება შემდეგ მისამართებზე:

„წმიდა კუთხე", ბახტრიონის ქ. 8, ჩიტაიას ქ. 39, ლესელიძის ქ. 30.

ქაშუეთის წმინდა გიორგის სახელობის ტაძართან არსებული მაღაზია, რუსთაველის გამზ. 9.

დიდუბის ღვთისმშობლის სახელობის ტაძართან არსებული მაღაზია, წერეთლის გამზ. 44.

„სხივს“, თბილისის ვერის უბნის ლიცეუმს, ფილიპე გოგიჩაიშვილის სახელობის კერძო სკოლას, გურამ თავართქილაძის სახელობის უნივერსიტეტს, ფილიპე გოგიჩაიშვილის სახელობის თბილისის იურიდიულ-ეკონომიკურ ინსტიტუტს.

ასევე ვლოცავთ **კომპანია „მაგთიკომის“ თანამშრომლებს**, რომელთაც თავიანთი შემოწირულობებით ყოვლადწმინდა სამების ტაძრისათვის წმინდა ნინოს ხატი დააწერინეს.

ღმერთმა დაგლოცოთ, გაგახაროთ, გაგაძლიეროთ!

მინდა მივმართო სკოლების დირექტორებსა და ინსტიტუტების რექტორებს. გახსოვდეთ, რომ ყოველი ბავშვი არის გენიალური, მაგრამ მათში არსებული ნიჭი უნდა მოვიძიოთ და განვავითაროთ. ბავშვმა ჩვენი დახმარებით უნდა გამოავლინოს საკუთარი ნიჭი. არასდროს უთხრათ მას, რომ ის უნიჭო ან ცუდია. სიტყვას უდიდესი ძალა აქვს. კიდევ ერთი თხოვნა მაქვს მასწავლებლებთან: ცუდ ნიშანს ბავშვებს ნუ დაუწერთ!

ჩვენთან არს ღმერთი!

ქრონიკა. ინფორმაცია.

ხელდასხმა

6 ივნისს ყოვლადწმინდა სამების სახელობის საპატრიარქო ტაძარში ნინოწმინდისა და საგარეჯოს ეპისკოპოსმა ლუკამ (ლომიძე) მღვდლად დაასხა ხელი ვარკეთილის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის *დიაკვანს იოანე წუწუნავას.*

მღვდელი იოანე ვარკეთილის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიაში იმსახურებს.

* * *

6 ივნისს დედოფლისწყაროს ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის საკათედრო ტაძარში დედოფლისწყაროსა და ჰერეთის ეპისკოპოსმა მელქისედეკმა (ხაჩიძე) დიაკვნად აკურთხა თბილისის სასულიერო აკადემიის I კურსის სტუდენტი *გურამ ბენიაიძე* და სახელად გაბრიელი უწოდა.

დიაკონი გაბრიელი დედოფლისწყაროს საკათედრო ტაძარში იმსახურებს.

* * *

13 ივნისს რუსთავის წმინდა ვახტანგ გორგასალის სახელობის საკათედრო ტაძარში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, რუსთავისა და მარნეულის ეპისკოპოსმა იოანემ (გამრეკელი) ხელი დაასხა მღვდლად ბერ-დიაკონ სერაფიმეს (ბიტბუნოვი).

დაჯილდოება

26 მაისს მცხეთის წმინდა ჯვრის სახელობის მამათა მონასტერში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ ეკლესიაში ერთგული და დამსახურებული მოღვაწეობისათვის მეორე გამშვენებული ჯვრით დააჯილდოვა ამავე მონასტრის წინამძღვარი, *არქიმანდრიტი კონსტანტინე (ჭინჭარაული).*

* * *

30 მაისს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ ეკლესიაში ერთგული და დამსახურებული მოღვაწეობისათვის დააჯილდოვა სამღვდელოება:

გამშვენებული ჯვრით — წყნეთის წმინდა ნინოს სახელობის ეკლესიის წინამძღვარი, *დეკანოზი მიქაელ აბულაძე;* ნაძალადევის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის შობის სახელობის ეკლესიის წინამძღვარი, *დეკანოზი კახაბერ გოგოტიშვილი.*

ოქროს ჯვრითა და დეკანოზის წოდებით — თბილისის წმინდა ჯვრის მამის სახელობის ეკლესიის მღვდელმსახური, *მღვდელი თავმაზ ჩოხელი;* საბურთალოს წმინდა ნინოს სახელობის ეკლესიის მღვდელმსახური, *მღვდელი დავით რუხაძე.*

* * *

1 ივნისს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ ეკლესიაში ერთგული და დამსახურებული მოღვაწეობისათვის დააჯილდოვა სამღვდელოება:

გამშვენებული ჯვრით — ნაქულბაქევის წმინდა გიორგის სახელობის მამათა მონასტრის წინამძღვარი, *იღუმენი იოანე (გვაჯაია).*

ოქროს ჯვრითა და იღუმენის წოდებით — ყოვლადწმინდა სამების სახელობის საპატრიარქო ლავრის საძმოს წევრი, *მღვდელ-მონაზონი შიო (ლომიძე).*

ოქროს ჯვრითა და დეკანოზის წოდებით — *მღვდელი გიორგი ჭეჟანიშვილი.*

წმინდა მამები ამბობენ, რომ ქრისტეს მოსვლა ქვეყანაზე არის ღვთის სიყვარულის ყველაზე დიდი მოწმობა თავისი ქმნილების მიმართ. უფალი მოვიდა ქვეყანაზე იმ სახით, რომლითაც თავისი ქმნილება შექმნა, ანუ ადამიანის სახით და იტვირთა ის ბუნება, რომელიც ადამიანს მიანიჭა, კერძოდ, კაცური ბუნება. და არა მარტო მოვიდა კაცთა შორის, არამედ მოგვცა სიტყვა ჭეშმარიტებისა. ის სიტყვა, რომელზეც პეტრე მოციქულმა უთხრა: „სიტყვა ცხოვრებისა შენთან არს".

ამრიგად, წმიდა წერილი და ეკლესიის მამების სწავლანი წარმოაჩენს მჭიდრო და განუყოფელ კავშირს რწმენასა და სიყვარულს შორის, რაც ვლინდება ქრისტიანული ღვთისმეტყველების ცოდნასა და სარწმუნოებრივ ცხოვრებაში, რომელიც თავის თავში გულისხმობს არა მარტო ღვთისმსახურებებზე დასწრებასა და საეკლესიო საიდუმლოებებში მონაწილეობას, არამედ ღვთივსათნო საქმეებს, რომელსაც მოყვასისადმი სიყვარული გვკარნახობს.

დიდი ქართველი მოღვაწე პეტრე იბერი მოგვიწოდებს: „უწინარეს ყოვლისა, დაიცავით წმიდა მართლმადიდებელი სარწმუნოება და მოიპოვეთ სასოება, სიყვარული, სიმდაბლე, სულგრძელება, მოთმინება, სახიერება, გლახაკთმოწყალება და სტუმართმოყვარება."

მარიამ გაგუა

ქრონიკა. ინფორმაცია.

საპატრიარქოს ტელევიზია „ერთსულოვნების" განცხადება

საქართველოს საპატრიარქოს ტელევიზია „ერთსულოვნება" სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით დაარსდა 2008 წლის ნოემბერში. მან მალე მოიპოვა მაყურებლის სიყვარული და პატივისცემა. TV „ერთსულოვნება" ცდილობს დაამკვიდროს სარწმუნოებრივი და ეროვნული იდეალები, საზოგადოებაში დანერგოს მშვიდობისა და ერთსულოვნების სულისკვეთება.

TV „ერთსულოვნება" შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე მაუწყებლობს ტელერადიოკომპანია „ევრიკის" სიხშირეზე. 21 ივნისს, 11.00 საათზე ტელერადიოკომპანია „ევრიკამ" გათიშა საპატრიარქოს ტელევიზიის მაუწყებლობა. ტელეეთერის გათიშვის შემდეგ TV „ერთსულოვნების" ოფისში არ წყდება მაყურებელთა სატელეფონო ზარები, რომლებიც შეშფოთებას გამოთქვამენ მომხდარის გამო.

გვსურს განვაცხადოთ, რომ TV „ერთსულოვნებას", მიუხედავად მისთვის გამოყოფილი მცირე ბიუჯეტისა, გადახდილი აქვს „ევრიკის" დავალიანების ნაწილი. ვწუხვართ, რომ ტელერადიოკომპანია „ევრიკის" ხელმძღვანელობამ მიიღო ამგვარი რადიკალური გადაწყვეტილება.

ვიმედოვნებთ, რომ მომავალში შესაძლებელი გახდება საპატრიარქოს ტელევიზია „ერთსულოვნებისათვის" დამოუკიდებელი სამაუწყებლო სიხშირის გამოყოფა (საამისო სიტყვიერი პირობა უკვე გვაქვს), რაც საგრძნობლად გაგვიადვილებს ფუნქციონირებას და თავიდან აგვაცილებს მსგავს პრობლემებს. ეს შესაძლებლობას მოგვცემს, აღარ ვიყოთ დამოკიდებულნი ტელერადიოკომპანია „ევრიკის" ან სხვა რომელიმე კომპანიის გადაწყვეტილებებზე.

ქართველი ხელოვანები პარიზის ფესტივალზე

საფრანგეთის დედაქალაქ პარიზში ყოველწლიურად, ივნისის თვეში ტარდება სიმღერის ფესტივალი. პარიზის ქუჩებში გამოდიან ხელოვანები და უფასოდ ატარებენ კონცერტებს.

დასავლეთ ევროპის მიტროპოლიტ აბრაამის (გარმელია) ლოცვა-კურთხევით, წელს პირველად ამ ფესტივალში მონაწილეობა მიიღეს საფრანგეთის ქართული სამრევლოს წარმომადგენლებმა.

პარიზის წმინდა მეფე თამარის სახელობის საკათედრო ტაძრის წინამძღვართან, არქიმანდრიტ ანტონთან ერთად (კანდელაკი) ტაძართან არსებული სამრევლო გუნდი, პარიზის ქუჩებში გამოვიდა გამოვა ეროვნული სამოსითა და სახელმწიფო დროშებით. პირველი კონცერტი ნოტერდამის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის სახელობის ტაძართან გაიმართა. შესრულდა ძველი ქართული საგალობლები, ხალხური სიმღერები და ცეკვები, ეროვნული საკრავების თანხლებით. შემდეგ ქართულმა გუნდმა კონცერტები პარიზის სხვადასხვა რაიონში გამართა და თან პარიზელებს ქართული ხაჭაპურით, ღვინითა და „ბორჯომით" გაუმასპინძლდა.

საფრანგეთის მოქალაქეებმა და პარიზის სტუმრებმა დიდი ინტერესით მიიღეს ქართული ხალხური ხელოვნების ნიმუშები.

ქართული სამრევლო მიზნად ისახავს საფრანგეთში უდიდესი და უძველესი ქართული კულტურის ღირსეულად წარმოჩენას. სასიხარულოა, რომ ჩვენ გარდა პარიზის სიმღერის ფესტივალის დღეებში ჩვენმა მრავალმა თანამემამულემ მიიღო მონაწილეობა.

დაჯილდოება

20 ივნისს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ ყოვლადწმინდა სამების საპატრიარქო ტაძარში დააჯილდოვა შემდეგი მღვდელმსახურები:

დეკანოზი პავლე ჯანგავაძე — გამშვენებული ჯვრით;

მღვდელ-მონაზონი ანთიმოზი (ბიჩინაშვილი) — ოქროს ჯვრითა და იღუმენის წოდებით;

მღვდელი ილია ჩაკვეტაძე — ოქროს ჯვრითა და დეკანოზის წოდებით.

განცხადება

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესი ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, საპატრიარქოსთან დაარსდა უფასო საინფორმაციო, სულიერ-ფსიქოლოგიური დახმარების სატელეფონო სამსახური „თანადგომა".

ქრონიკა. ინფორმაცია.

კათოლიკოს-პატრიარქს სოფლის მეურნეობის აკადემიის საპატიო აკადემიკოსის წოდება მიენიჭა

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, უწმინდესსა და უნეტარესს ილია II-ს სოფლის მეურნეობის აკადემიის საპატიო აკადემიკოსის წოდება მიენიჭა. აკადემიკოსის საპატიო დიპლომი საქართველოს ეკლესიის საჭეთმპყრობელს სოფლის მეურნეობის აკადემიის დელეგაციამ გადასცა. შეხვედრა 3 ივლისს საპატრიარქო რეზიდენციში გაიმართა და მას სოფლის მეურნეობის ყველა დარგის წარმომადგენელი ესწრებოდა. მათ უწმინდესსა და უნეტარესს ილია II-ს სოფლის მეურნეობის დარგებში დახმარებისთვის მადლობა გადაუხადეს და ამ თემებთან დაკავშირებით საკუთარი გეგმები და შეხედულებები გააცნეს. საყოველთაოდ ცნობილია, რომ უწმინდესი და უნეტარესი ილია II სახელმწიფოს განვითარების უმთავრეს პრიორიტეტად სოფლის მეურნეობის ტრადიციული დარგების აღორძინებასა და განვითარებას მიიჩნევს. სოფლის მეურნეობის აკადემიის წარმომადგენლებმა, აკადემიკოსის დიპლომთან ერთად, კათოლიკოს-პატრიარქ ილია II-ს მისი აღსაყდრების წელს დაწურული ღვინო, კონიაკი და სხვა საჩუქრები გადასცეს.

შეხვედრის ბოლოს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ სტუმრებს მადლობა გადაუხადა საპატიო აკადემიკოსის სტატუსის მინიჭებისთვის და სოფლის მეურნეობის განვითარების საკუთარი ხედვა გააცნო; შემდეგ სტუმრებს საპატრიარქოს მარანი დაათვალიერებინა, სადაც ღვინის უნიკალური კოლექცია ინახება.

დაჯილდოება

27 ივნისს რუსთავის წმინდა მეფე ვახტანგ გორგასლის სახელობის საკათედრო ტაძარში საზეიმო პარაკლისზე სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ რუსთავისა და მარნეულის ეპისკოპოს იოანეს (გამრეკელი) მთავარეპისკოპოსის წოდება მიანიჭა.

ხელდასხმა

27 ივნისს რუსთავის წმინდა მეფე ვახტანგ გორგასლის სახელობის საკათედრო ტაძარში რუსთავისა და მარნეულის ეპისკოპოსმა იოანემ (გამრეკელი) მღვდლად დაასხა ხელი ამავე ტაძარის დიაკონ ლევან ნაცვლიშვილს.

მღვდელი ლევანი მარნეულის რაიონის სოფელ თამარისის წმინდა მეფე თამარის სახელობის ტაძარში იმსახურებს.

ღონისძიება მე-7 საჯარო სკოლაში

მე-7 საჯარო სკოლის VII კლასის მოსწავლეებმა მათი დამრიგებლის, ქალბატონი დოდო გაბესკირიას ხელმძღვანელობით ჩაატარეს ღონისძიება თემაზე: „X-XIII საუკუნეების ქართული ხელოვნება". მოიწვიეს სკოლის დირექცია, მასწავლებლები და ნარიყალის წმინდა ნიკოლოზის სახელობის ეკლესიის ღვთისმსახური, დიაკონი დავით ქლიბაძე. ღონისძიებაზე ბავშვებმა მიმოიხილეს ამ ეპოქის ტაძრების არქიტექტურა, კედლის მხატვრობა, რელიეფური ქანდაკება ქვაზე, ჭედურობა და მინანქარი. წაიკითხეს სხვადასხვა პოეტის ლექსები, მიძღვნილი განხილული ტაძრებისადმი.

ღონისძიების ბოლოს მამა დავითს ტაძრისათვის გადასცეს კლასის შემოწირულობით შეძენილი ყოვლადწმინდა სამებისა და ღვთისმშობლის ხატები. მამა დავითმა დიდი მადლობა გადაუხადა, შეაქო და დალოცა მთელი კლასი. „ეს დღე სანუკვარ მოგონებად დარჩება ჩვენი კლასის თითოეული მოსწავლისათვის", — გვწერს ამავე კლასის მოსწავლე გიორგი ფორჩხიძე.

შეცდომის გასწორება

გაზეთ „საპატრიარქოს უწყებანის" 2010 წლის 22-ში გაიპარა უნებლიე შეცდომა. 1 ივნისს, ნინოობას, სიონის საპატრიარქო ტაძარში უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ დააჯილდოვა სასულიერო პირები, სადაც შეცდომით იყო აღნიშნული მღვდელი გიორგი ჭეჟანიშვილის გვარი.

სინამდვილეში უნდა ყოფილიყო: სართიჭალის მთავარანგელოზთა და წმინდა ლაზარეს სახელობის ეკლესიის წინამძღვარი, მღვდელი გიორგი კეჟერაშვილი, რომელიც ოქროს ჯვრითა და დეკანოზის წოდებით დაჯილდოვდა.

განცხადება

საქართველოს საპატრიარქოსთან არსებული ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრი აცხადებს **საბავშვო წიგნის II ფესტივალს** და იწყებს მსურველთა რეგისტრაციას.

ფესტივალში მონაწილეობის პირობები:

ფესტივალში გამომცემლობებმა უნდა წარმოადგინონ 2009-2010 წლებში გამოცემული საბავშვო წიგნები;

ავტორებმა უნდა წარმოადგინონ გამოუქვეყნებელი ნაწარმოებები ელექტრონული სახით, შრიფტი Acadnusx, ზომა 12, 1.5 დაშორება.

საუკეთესო ნაწარმოებები გამოიცემა წიგნად ახალგაზრდული ცენტრის მიერ.

ფესტივალის ჟიური გამარჯვებულებს გამოავლენს შემდეგ ნომინაციებში: საუკეთესო ავტორი; საუკეთესო საბავშვო მოთხრობების კრებული; საუკეთესო შემეცნებითი წიგნი; საუკეთესო ზღაპრების კრებული; საუკეთესო საბავშვო პოეზიის კრებული; საუკეთესო ილუსტრაციები; საუკეთესო თარგმანი.

მონაწილეობისათვის ავტორებმა და გამომცემლობებმა უნდა შეავსონ სპეციალური ანკეტები

საქართველოს საპატრიარქოს განცხადება

როგორც ტელე-რეკლამებით გახდა ცნობილი, ბ-ნი დევიდ ჰეთეევი სამდღიანი პროგრამით აპირებს თბილისში, სპორტის სასახლეში გამოსვლას და ქადაგებას.

საზოგადოებაში მუსირებს არასწორი აზრი, თითქოს სწავლება, რომელსაც იგი ავრცელებს, მართლმადიდებლობასთანაა კავშირში, რაც სინამდვილეს არ შეესაბამება.

ბატონი დევიდ ჰეთეევი არის ერთ-ერთი ქრისტიანული დენომინაციის, - ევანგელისტების წარმომადგენელი. ეს მიმდინარეობა დაახლოებით ორი საუკუნეა, რაც დაფუძნდა და თავისი არსით ყოვლად მიუღებელია როგორც მართლმადიდებელთათვის, ისე სხვა მრავალსაუკუნოვანი ტრადიციული ქრისტიანული აღმსარებლებისათვის.

საქართველო ყოველთვის იყო და არის ტოლერანტული ქვეყანა, სადაც ყველა რელიგიურ მიმდინარეობას აქვს შეკრების, აღმსარებლობისა და სიტყვის თავისუფლება, რასაც ისინი თავის სამლოცველოებში დაუბრკოლებლად ანხორციელებენ, მაგრამ ის, რისი ჩატარებაც ამ დღეებში სპორტის სასახლეში დაიგეგმა, არის აშკარა მაგალითი პროზელიტიზმისა, — ანუ მცდელობა ადამიანების ფართო მასების თავის რწმენაზე გადაბირებისა. პროზელიტიზმი კი საერთაშორისო რელიგიათშორისი კონვენციებითაც და ქრისტიანული ეთიკიდან გამომდინარეც, დაგმობილია.

საქართველოში, ქვეყანაში, სადაც ეკლესიას 20 საუკუნოვანი ისტორია აქვს, მართლმადიდებლობის უარმყოფელი სწავლების წარმომადგენლის მიერ ქრისტიანობის ასეთი საჯარო სახით ქადაგება ყოვლად მიუღებელი და შეურაცხმყოფელი ქმედებაა.

მივმართავთ ჩვენს საზოგადოებას, — საქართველოს ეკლესიის მრევლს, თავი შეიკავონ ამ და მსგავს რელიგიურ შეხვედრებში მონაწილეობისაგან.

15.07.2010

ხელდასხმა

11 ივლისს ბოლნისის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის საკათედრო ტაძარში ბოლნელმა ეპისკოპოსმა ეფრემმა (გამრეკელიძე) მღვდლად დაასხა ხელი ყოვლადწმინდა სამების სახელობის საპატრიარქო ტაძრის დიაკვანს ალექსი ქშუტაშვილს.

მღვდელი ალექსი თბილისის წმინდა ნინოს სახელობის ეკლესიის (ჩიტაძის ქუჩა) მღვდელმსახურად დაინიშნა.

* * *

12 ივლისს რუსთავის წმინდა ვახტანგ გორგასლის სახელობის საკათედრო ტაძარში რუსთავისა და მარნეულის მთავარეპისკოპოსმა იოანემ (გამრეკელი) მღვდლად დაასხა ხელი ქაშვეთის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის დიაკვანს ზაქარია შონიას.

მღვდელი ზაქარია თბილისის კლდისუბნის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის მღვდელმსახურად დაინიშნა.

* * *

12 ივლისს ნიკორწმიდის წმინდა ნიკოლოზის სახელობის საკათედრო ტაძარში ნიკორწმიდელმა მიტროპოლიტმა ელისემ (ჯოხაძე) დიაკვნად აკურთხა ნოდარ თევდორაძე და სახელად პეტრე უწოდა.

დიაკონი პეტრე ნიკორწმიდის წმინდა ნიკოლოზის სახელობის საკათედრო ტაძარში იმსახურებს.

* * *

16 ივლისს გერგეტის ყოვლადწმინდა სამების სახელობის ეკლესიაში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ მღვდლად დაასხა ხელი ბერ-დიაკონ იოანეს (შომახია), ხოლო დიაკვნად აკურთხა ბერი პავლე (ქებულაძე).

ამავე დღეს უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ ეკლესიაში ერთგული სამსახურისათვის დააჯილდოვა სტეფანწმინდისა და ხევის ეპარქიის სამღვდელოება:

ოქროს ჯვრითა და ილუმენის წოდებით — სტეფანწმიდის წმინდა ილია წინასწარმეტყველის სახელობის ეკლესიის წინამძღვარი, მღვდელ-მონაზონი ეგნატე (ჭიჭინაძე); კარკუჩას წმინდა ნიკოლოზის სახელობის ეკლესიის წინამძღვარი, მღვდელ-მონაზონი ანდრია (აბაიშვილი).

ოქროს ჯვრითა და ილუმენიას წოდებით — სნოს წმინდა ნინოს სახელობის დედათა მონასტრის წინამძღვარი, მონაზონი ნინო (კუპრეიშვილი).

* * *

18 ივლისს გორის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის შობის სახელობის საკათედრო ტაძარში გორისა და სამთავისის მიტროპოლიტმა ანდრიამ (გვაზავა) მღვდლად დაასხა ხელი თბილისის ნარიყალას წმინდა ნიკოლოზის სახელობის ეკლესიის დიაკვანს დავით ქლიბაძეს.

მღვდელი დავითი ქავთარაძის ბაღთან მდებარე №7 საშუალო სკოლაში არსებულ სამლოცველო სახლის წინამძღვრად დაინიშნა.

დაჯილდოება

12 ივლისს ყოვლადწმინდა სამების სახელობის საპატრიარქო ტაძარში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ ეკლესიაში ერთგული სამსახურისათვის ოქროს ჯვრითა და ილუმენის წოდებით დააჯილდოვა კოჯრის ოძოს წმინდა გიორგის სახელობის მამათა მონასტრის **მღვდელმონაზონი ნათანაელი (მდივანი).**

* * *

13 ივლისს სვეტიცხოვლის წმინდა თორმეტი მოციქულის სახელობის საპატრიარქო ტაძარში, სადღესასწაულო წირვის შემდეგ, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ ეკლესიაში მრავალწლიანი ერთგული სამსახურისათვის მიტროპოლიტის წოდებით დააჯილდოვა თიანეთისა და ფშავ-ხევსურეთის **მთავარეპისკოპოსი თადეოზი (იორამაშვილი).**

ამავე დღეს ასევე დაჯილდოვდნენ: **მიტრით** — ქაშვეთის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის მღვდელმსახური, დეკანოზი ვახტანგ სარდლიშვილი; **ოქროს ჯვრითა და ილუმენის წოდებით** — ფოკის წმინდა ნინოს სახელობის მამათა მონასტრის საძმოს წევრი, მღვდელ-მონაზონი ათანასე (კარანაძე).

* * *

18 ივლისს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ სამების საპატრიარქო ტაძარში ეკლესიაში ერთგული სამსახურისათვის ოქროს ჯვრითა და დეკანოზის წოდებით დააჯილდოვა თბილისის წმინდა ჯვრის მამის სახელობის ეკლესიის მღვდელმსახური და საპატრიარქოს ტელევიზია „ერთსულოვნების" დირექტორის მოადგილე, მღვდელი ზურაბ ცხოვრებაძე.

განცხადება

საქართველოს საპატრიარქოსთან არსებული ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრი აცხადებს **საბავშვო წიგნის II ფესტივალს** და იწყებს მსურველთა რეგისტრაციას.

ფესტივალში მონაწილეობის პირობები:

ფესტივალში გამომცემლობებმა უნდა წარმოადგინონ 2009-2010 წლებში გამოცემული საბავშვო წიგნები;

ავტორებმა უნდა წარმოადგინონ გამოუქვეყნებელი ნაწარმოებები ელექტრონული სახით, შრიფტი აკადნუსხ, ზომა 12, 1.5 დაშორება.

საუკეთესო ნაწარმოებები გამოიცემა წიგნად ახალგაზრდული ცენტრის მიერ.

ფესტივალის ჟიური გამარჯვებულებს გამოავლენს შემდეგ ნომინაციებში:

საუკეთესო ავტორი;

საუკეთესო საბავშვო მოთხრობების კრებული;

საუკეთესო შემეცნებითი წიგნი;

საუკეთესო ზღაპრების კრებული;

საუკეთესო საბავშვო პოეზიის კრებული;

საუკეთესო ილუსტრაციები;

საუკეთესო თარგმანი;

მონაწილეობისათვის ავტორებმა და გამომცემლობებმა უნდა შეავსონ სპეციალური ანკეტები საპატრიარქოს ახალგაზრდულ ცენტრში და წარმოადგინონ საფესტივალო წიგნები 3 ეგზემპლარად, მისამართზე: წმ. ილიას მთა, სამების საპატრიარქო ტაძარი, საქართველოს საპატრიარქოსთან არსებული ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრი.

ყოველდღე 15.00-18.00 საათამდე 25 ივნისიდან 25 სექტემბრამდე.

საპატრიარქოს ახალგაზრდული ცენტრის დარბაზებში მოხდება გამარჯვებულთა დაჯილდოება და საბავშვო წიგნების გამოფენა-გაყიდვა, რომლის თარიღსაც დამატებით გაცნობებთ.

საკონტაქტო ინფორმაცია: **895 300 516** გიორგი ფარეშიშვილი

www.axalgazrdoba.ge

Email: **sabfestivali2010@gmail.com**

სამძიმარი

„საპატრიარქოს უწყებანი" მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა გლდანის წმინდა გიორგის სახელობის ტაძრის მესანთლე სერგო ღვალაძე და თანაგრძნობას უცხადებს გარდაცვლილის ოჯახს. მკითხველს ვთხოვთ ლოცვებში მოიხსენიოს ახალშესვენებული სერგოს სული.

სამძიმარი

დასავლეთ ევროპის ეპარქია, პარიზის ქართული სამრევლო მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა პარიზის სამრევლო სკოლის ცეკვის პედაგოგი, ახალგაზრდა შემოქმედი შოთა აბულაძე და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

მკითხველს ვთხოვთ, ლოცვებში მოიხსენიოს ახლად შესვენებული შოთას სული.

თბილისის სასულიერო აკადემიის საეკლესიო გალობისა და ხალხური სიმღერის უმაღლესი სასწავლებელი

ა ც ხ ა დ ე ბ ს მ ი ღ ე ბ ა ს

2010-2011 სასწავლო წლისათვის საეკლესიო გალობისა და ხალხური სიმღერის გუნდის ლოტბარის სპეციალობაზე. სწავლება — უფასოა

სწავლების ხანგრძლივობა 4 წელი;

სწავლება — ქართულ ენაზე; მისაღებ გამოცდებზე დაიშვებიან საშუალო განათლების მქონე 30 წლამდე ასაკის ვაჟები.

გამოცდები ტარდება შემდეგ დისციპლინებში:

სიმღერა-გალობა;

აბიტურიენტს მოეთხოვება 6 ქართული საგალობლისა და 11 ხალხური სიმღერის ცოდნა ცალ-ცალკე ხმების შესრულებითა და ხმიდან ხმაზე გადასვლით;

2. მუსიკის თეორია - წერა (კარნახი), ზეპირი (სოლფეჯიო, ელემენტარული თეორია).

ქართული ენა და ლიტერატურა (წერა);

საქართველოს ისტორია (ზეპირი);

კონსულტაციები გაიმართება 9 სექტემბერს 10 საათიდან.

საბუთები მიიღება 23 აგვისტოდან 8 სექტემბრის ჩათვლით 10.00სთ-დან 15.00 სთ-მდე.

მისაღები გამოცდები ჩატარდება 10 სექტემბრიდან.

გაცნობებთ, რომ სასწავლებელში ფუნქციონირებს ერთწლიანი სკოლა (სწავლება უფასოა).

დამატებითი ცნობების მიღება შეიძლება უმაღლესი სასწავლებლის სამდივნოში. მისამართი: ქ. თბილისი, ვ. გაბისკირიას (ყოფილი ბალმაშევის) ქ. № 4 (სამების საკათედრო ტაძრის მთავარ კარიბჭესთან).

ტელეფონები: 45 06 19; 899 93 18 04. მიმღები კომისია.

კოს-პატრიარქი ილია II თუშებს კვლავ დაბრუნების იმედით გამოემშვიდობა და ვერტმფრენმა გეზი ხევსურეთისკენ აიღო. შატილიონები სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს სოფლის შუაგულში სიმღერით შეეგებნენ.

ხევსურეთშიც, ისევე როგორც თუშეთში, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია II პირველი სტუმარი პატრიარქი გახლდათ. ეს კი მასპინძლებს ერთიორად უორმაგებდათ მისი სტუმრობით გამოწვეულ სიხარულს.

ცოტა ხნის წინ სოფლის შუაგულში, ვაკე ადგილზე, იქ სადაც ძველი ისტორული შატილი და ახალი დასახლება კვეთს ერთმანეთს, არქიმანდრიტების — კონსტანტინე და დავით ჭინჭარაულების ლოცვა-კურთხევით, საძირკველი ჩაეყარა ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის სახელობის ტაძარს. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა საძირკველი აკურთხა და ხევსურები უფალს შეავედრა. სამშობლოს წინაშე გაწეული ღვაწლისთვის კი შატილის მკვიდრი, ცნობილი ქართველი მეცნიერი, ფოლკლორისტი, პოეტი ალექსი ჭინჭარაული საქართველოს სამოციქულო ეკლესიის უმაღლესი ჯილდოთი — წმინდა გიორგის ოქროს ორდენით დააჯილდოვა. ბატონი ალექსის ავადმყოფობის გამო საჩუქარი მისმა შვილმა, ქალბატონმა ნათელამ მიიღო.

მოგვიანებით შატილის ჭალაში ხევსურული საღამო გაიმართა, რომელშიც დები გოგოჭურები, საპატრიარქოსთან არსებული ახალგაზრდული მოძრაობა „ივერიელნი", ხრიდოლის საბრძოლო ხელოვნების წარმომადგენლები, პოეტები და ხალხური მთქმელები მონაწილეობდნენ.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია II თბილისში 22 ივლისს დაბრუნდა.

თამარ ცქიტიშვილი

დაჯილდოება

2 აგვისტოს, ყოვლადწმინდა სამების სახელობის საპატრიარქო ტაძარში, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ მიტროპოლიტის წოდებით დააჯილდოვა:

მაღალყოვლადუსამღვდელოესი ჭყონდიდელი მთავარეპისკოპოსი პეტრე (ცაავა) და

მაღალყოელადუსამღვდელოესი სენაკისა და ჩხორწყუს მთავარეპისკოპოსი შიო (მუჯირი).

* * *

4 ივლისს, ყოვლადწმინდა სამების სახელობის საპატრიარქო ტაძარში, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ ეკლესიაში ერთგული სამსახურისათვის მიტრით დააჯილდოვა ნარიყალას წმინდა ნიკოლოზის სახელობის ტაძრის წინამძღვარი, დეკანოზი გიორგი თევდორაშვილი.

* * *

25 ივლისს ყოვლადწმინდა სამების სახელობის საპატრიარქო ტაძარში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ დეკანოზის წოდება და ოქროს ჯვარი უბოძა მღვდელ ლევან ფიროსმანიშვილს.

* * *

2 აგვისტოს ყოვლადწმინდა სამების სახელობის საპატრიარქო ტაძარში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ დააჯილდოვა შემდეგი სასულიერო პირები:

მცხეთის სამთავროს დედათა მონასტრის მოძღვარი, არქიმანდრიტი ლაზარე (გაგნიძე) — მეორე გამშვენებული ჯვრით; დეკანოზი ევდემოზ ალელიშვილი — გამშვენებული ჯვრით; მღვდელი ანდრია ნაცვლიშვილი — ოქროს ჯვრითა და დეკანოზის წოდებით; მღვდელი დავით მინდორაშვილი — ოქროს ჯვრითა და დეკანოზის წოდებით.

სამძიმარი

საპატრიარქოს პრესცენტრი მწუხარებით იუწყება, რომ ავტოკატასტროფის შედეგად გარდაიცვალა ხონისა და სამტრედიის ეპარქიის სოფელ იანეთის წმინდა გიორგის სახელობის ტაძრის მღვდელმსახური, დეკანოზი იაკობ ლეკვეიშვილი და სტიქაროსნები: რაინდ ჩიტაიძე და სემინარიის IV კურსის სტუდენტი ვახტანგ კოხრეიძე და სამძიმარს უცხადებს განსვენებულების ოჯახებს.

მკითხველს ვთხოვთ, ლოცვებში მოიხსენიონ ახლადშესვენებულები: დეკანოზი იაკობი, რაინდი და ვახტანგი.

* * *

საპატრიარქოს პრესცენტრი მწუხარებით იუწყება, რომ

ქაშვეთის საპატრიარქო საეკლესიო მაღაზიის დირექტორს ნინო სულამანიძესა და ანჩისხატის ტაძრის მედავითნეს ბარბარე სულამანიძეს გარდაეცვალა ძმა — ტარიელი და სამზიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

მკითხველს ვთხოვთ, ლოცვებში მოიხსენიონ ახლად შესვენებული ტარიელი.

ტაძრის კურთხევა

1 აგვისტოს ხონისა და სამტრედიის მიტროპოლიტმა საბამ (გიგიბერია) და ახალციხისა და ტაო-კლარჯეთის მიტროპოლიტმა თეოდორემ (ჭუაძე) აკურთხეს სოფელ გომის წმინდა ნინოს სახელობის ტაძარი, რომლის წინამძღვრადაც დროებით დაინიშნა დეკანოზი აკაკი ჟვანია.

ტაძრის აღსადგენად

სოფელ პატარძეულში მდებარეობს წმინდა შიო მღვიმელის სახელობის ეკლესია. ამავე ეზოში დგას ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის (სავარაუდოდ) ხარების სახელობის ტაძარი. ეკლესია არცთუ დიდი ხნის წინ, უყურადღებობის გამო, მძიმე მდგომარეობაში იყო.

ეპარქიის მმართველის, ეპისკოპოს ლუკასა (ლომიძე) და წინამძღვრის, მამა ალექსანდრეს თაოსნობითა და მრევლის თანადგომით წმინდა შიო მღვიმელის სახელობის ეკლესიაში კვლავ წირვა-ლოცვა აღევლინება. ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის სახელობის ტაძარში ტარდება პარაკლისები.

აქვეა ცნობილი პოეტისა და საზოგადო მოღვაწის გიორგი (გოგლა) ლეონიძის მამის, მღვდელ ნიკოლოზ ლეონიძის საფლავი.

ამჟამად აქ მიმდინარეობს რესტავრაცია.

საქართველოს საპატრიარქოს ხუროთმოძღვრების ცენტრის ხელმძღვანელის, ამბა ალავერდელი მიტროპოლიტი დავითის (მახარაძე) ლოცვა-კურთხევით შევეწიოთ ამ წმინდა საქმეს.

გთხოვთ, შემოწირულობა ჩარიცხოთ მითითებულ ანგარიშზე:

სააქციო საზოგადოება „საქართველოს ბანკი"
ცენტრალური ფილიალი (კოდი) 220101502
მიმღები: ი.მ. ზურაბ ჭინჭარაძე-ლახტი
მიმღების ანგარიშის ნომერი: 120385200

ქრონიკა. ინფორმაცია.

პატრიარქის სტუმრობა თუშეთში

საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორიაში საქართველოს კათოლიკოს პატრიარქი ილია II პირველად ეწვია თუშეთს. მასთან ერთად ომალოში ჩაფრინდნენ აბბა ალავერდელი მიტროპოლიტი დავითი, თიანეთისა და ფშავ-ხევსურეთის მიტროპოლიტი თადეოზი და მათი თანმხლები პირები.

ახმიანდა თუშეთის გული. სიხარულით და იმედით შეეგებნენ თუშები საყვარელ პატრიარქს. ასეთი ხალხმრავლობა ხატობაშიც არ ახსოვთ თუშეთში. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა დალოცა თუშები, აკურთხა ეს მხარე.

19 ივლისს ომალოს ღვთისმშობლის მიძინების ეკლესიაში, პარაკლისის შემდეგ უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II ალავერდის ეპარქიის სამღვდელოება დააჯილდოვა. აქვე წმინდა გიორგის ოქროს ორდენი გადასცა თუშეთის მკვიდრს, გამოცდილ მწყემსს ფრიდონ გაფრინდაულს.

აბბა ალავერდელმა მიტროპოლიტმა დავითმა ქადაგებაში ბრძანა: „პატრიარქმა ნათლად დაინახა მთის გასაჭირი და ზუსტად განსაზღვრა გამოსავალი ამ გასაჭირიდან. უწმინდესმა, ერთი ადამიანის სახით, სიმბოლურად მთელი თუშეთი დააჯილდოვა. მან უმაღლესი ჯილდო – წმინდა გიორგის ოქროს ორდენი მწყემს ფრიდონ გაფრინდაულს გადასცა, რომელიც მამა-პაპის ტრადიციულ საქმიანობას აგრძელებს. ეს ჯილდო მოწმობს, რომ მწყემსობა და მეცხვარეობა ღირსეული საქმეა. ფრიდონ გაფრინდაული იმ ღირსეული გვარის შთამომავალია, ვინც ბახტრიონის ომში თავგანწირვით იბრძოდა. ამ გვარის წარმომადგენლის სახით პატრიარქმა ეს მხარე — თუშეთი აკურთხა...”

პატრიარქის სტუმრობასთან დაკავშირებით ომალოში დოღი გაიმართა. მორთულ-მოკაზმულ ცხენებზე ამხედრებულმა მხედრებმა აახმიანეს ომალოს ფერდობები. დოღში გიორგი გაფრინდაულმა გაიმარჯვა.

საყოველთაო სიხარული სუფევდა მთაში. ღამით, სოფლის შუაგულში ვარსკვლავებით მოჭედილი ცის ქვეშ, კოცონი ააბრიალეს. უმღეროდნენ თუშები სამშობლოს, საყვარელ პატრიარქს და მათი ხმა არემარეს იმედით ავსებდა.

პატრიარქი შეხვდა მრევლს და მათ სამახსოვრო საჩუქრები გადასცა.

ამ ღირსშესანიშნავ დღეებში სამღვდელოებამ თუშეთში რამდენიმე წირვა აღასრულა: 18 ივლისს შენაქოს სამების ეკლესიაში წირვა აღასრულა დეკანოზმა დავით ჭვრიტიძემ; 19 ივლისს — ომალოს ღვთისმშობლის მიძინების ეკლესიაში დეკანოზმა ზაქარია ჩიხრაძემ და დეკანოზმა გიორგი პაპუნაშვილმა, ხოლო 20 ივლისს — დეკანოზმა ბიძინა გუნიამ.

20 ივლისს სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქი ილია II თუშეთიდან გაემგზავრა.

დაჯილდოება

15 აგვისტოს, ყოვლადწმინდა სამების სახელობის საპატრიარქო ტაძარში, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ დააჯილდოვა შემდეგი სასულიერო პირები:

ილუმენი იოანე (სვანიძე) — გამშვენებული ჯვრით;

ილუმენი ისე (გელაშვილი) — გამშვენებული ჯვრით;

მღვდელი გიორგი უშიკიშვილი — დეკანოზის წოდებითა და ოქროს ჯვრით.

* * *

20 ივლისს, ომალოს ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების ტაძარში უწმინდესმა და უნეტარესმა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ დააჯილდოვა

გამშვენებული ჯვრით და მიტრის ტარების უფლებით:

ალავერდის ტაძრის დეკანოზები ადამ ბეწუნაიშუ და დავით ჭვრიტიძე,

ახმეტის ჯვარპატიოსნის დეკანოზი ისააკ ფეიქრიშვილი.

კათოლიკოს-პატრიარქმა დააჯილდოვა ასევე ალავერდის ეპარქიის რამდენიმე მოძღვარი:

იყალთოს ტაძრის წინამძღვარი მღვდელი ზაქარია ჩიხრაძე - დეკანოზის წოდებითა და გამშვენებული ჯვრით, თელავის წმინდა ნინოს ეკლესიის წინამძღვარი, მღვდელი რაჟდენ თანდილაშვილი - ოქროს ჯვრითა და დეკანოზის წოდებით.

კურდღელაურის ღვთისმშობლის მიძინების ეკლესიის წინამძღვარი, მღვდელი რომანოზ ექვთიმიშვილი — ოქროს ჯვრითა და დეკანოზის წოდებით.

ქისტაურის წმინდა ნინოს ეკლესიის წინამძღვარი, მღვდელი გიორგი პაპუნაშვილი - ოქროს ჯვრითა და დეკანოზის წოდებით.

* * *

12 აგვისტოს ქაშვეთის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიაში ცურტავის ეპისკოპოსმა იაკობმა (იაკობაშვილი) დიაკვნად აკურთხა ამავე ტაძრის სტიქაროსანი კახაბერ მეშვილდიშვილი და სახელად გიორგი უწოდა.

* * *

15 აგვისტოს, თიანეთის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის საკათედრო ტაძარში, თიანეთისა და ფშავ-ხევსურეთის მიტროპოლიტმა თადეოზმა დიაკვნად აკურთხა თბილისის სასულიერო აკადემიის III კურსის სტუდენტი კონსტანტინე კავითაშვილი.

დიაკონი კონსტანტინე ფშავ-ხევსურეთის ეპარქიაში იმსახურებს.

* * *

8 აგვისტოს, თიანეთის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის საკათედრო ტაძარში, თიანეთისა და ფშავ-ხევსურეთის მიტროპოლიტმა თადეოზმა დიაკვნად აკურთხა თბილისის სასულიერო სემინარიის კურსდამთავრებული თამაზ ცეცხლაძე და სახელად თომა უწოდა.

დიაკონი თომა ფშავ-ხევსურეთის ეპარქიაში იმსახურებს.

დიაკონი გიორგი ქაშვეთის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიაში იმსახურებს.

განცხადება

საქართველოს საპატრიარქოსთან არსებული ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრი აცხადებს **საბავშვო წიგნის II ფესტივალს** და იწყებს მსურველთა რეგისტრაციას.

ფესტივალში მონაწილეობის პირობები:

ფესტივალში გამომცემლობებმა უნდა წარმოადგინონ 2009-2010 წლებში გამოცემული საბავშვო წიგნები;

ავტორებმა უნდა წარმოადგინონ გამოუქვეყნელი ნაწარმოებები ელექტრონული სახით, შრიფტი Acadnusx, ზომა 12, 1,5 დაშორება.

საუკეთესო ნაწარმოებები ახალგაზრდული ცენტრის მიერ წიგნად გამოიცემა.

ფესტივალის ჟიური გამარჯვებულებს გამოავლენს შემდეგ ნომინაციებში:

საუკეთესო ავტორი;
საუკეთესო საბავშვო მოთხრობების კრებული;
საუკეთესო შემეცნებითი წიგნი;
საუკეთესო ზღაპრების კრებული;
საუკეთესო საბავშვო პოეზიის კრებული;
საუკეთესო ილუსტრაციები;
საუკეთესო თარგმანი;

მონაწილეობისათვის ავტორებმა და გამომცემლობებმა უნდა შეავსონ სპეციალური ანკეტები საპატრიარქოს ახალგაზრდულ ცენტრში და წარმოადგინონ საფესტივალო წიგნები 3 ეგზემპლარად, მისამართზე: წმ. ელიას მთა, სამების საპატრიარქო ტაძარი, საქართველოს საპატრიარქოსთან არსებული ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრი.

ყოველდღე 15.00-18.00 საათამდე, 25 ივნისიდან 25 სექტემბრამდე.

საპატრიარქოს ახალგაზრდული ცენტრის დარბაზებში მოხდება გამარჯვებულთა დაჯილდოება და საბავშვო წიგნების გამოფენა-გაყიდვა, რომლის თარიღსაც დამატებით გაცნობებთ.

საკონტაქტო ინფორმაცია: **895 300 516** გიორგი ფარეშიშვილი

www.axalgazrdoba.ge

Email: sabfestivali2010@gmail.com

თბილისის სასულიერო აკადემიის საეკლესიო გალობისა და ხალხური სიმღერის უმაღლესი სასწავლებელი

ა ც ხ ა დ ე ბ ს მ ი ღ ე ბ ა ს

2010-2011 სასწავლო წლისათვის საეკლესიო გალობისა და ხალხური სიმღერის გუნდის ლოტბარის სპეციალობაზე;

სწავლება — უფასოა

სწავლების ხანგრძლივობა 4 წელი;

სწავლება — ქართულ ენაზე; მისაღებ გამოცდებზე დაიშვებიან საშუალო განათლების მქონე 30 წლამდე ასაკის ვაჟები.

გამოცდები ტარდება შემდეგ დისციპლინებში:

სიმღერა-გალობა;

აბიტურიენტს მოეთხოვება 6 ქართული საგალობლისა და 11 ხალხური სიმღერის ცოდნა, ცალ-ცალკე ხმების შესრულებითა და ხმიდან ხმაზე გადასვლით;

2. მუსიკის თეორია - წერა (კარნახი), ზეპირი (სოლფეჯიო, ელემენტარული თეორია).

ქართული ენა და ლიტერატურა (წერა);

საქართველოს ისტორია (ზეპირი);

კონსულტაციები გაიმართება 9 სექტემბერს, 10 საათიდან.

საბუთები მიიღება 23 აგვისტოდან — 8 სექტემბრის ჩათვლით, 10.00სთ-დან 15.00 სთ-მდე.

მისაღები გამოცდები ჩატარდება 10 სექტემბრიდან.

გაცნობებთ, რომ სასწავლებელში ფუნქციონირებს ერთწლიანი სკოლა (სწავლება უფასოა).

დამატებითი ცნობების მიღება შეიძლება უმაღლესი სასწავლებლის სამდივნოში. მისამართი: ქ. თბილისი, ვ. გაბისკირიას (ყოფილი ბალმაშევის) ქ. # 4 (სამების საკათედრო ტაძრის მთავარ კარიბჭესთან).

ტელეფონები: 45 06 19; 899 93 18 04.

მიმღები კომისია

ტივაძე — ოქროს ჯვრით და დეკანოზის წოდებით.

ასევე დიდი სიხარულით ვლოცავთ კიდევ ერთ გვარს — შეთეკაურებს. დალოცვილები იყავით, გაგამრავლოთ ღმერთმა და ბევრი თავდადებული მამულიშვილი გამოვიდეს თქვენი გვარიდან!

დღეს ასევე ვლოცავთ — იორამიშვილებს. ღმერთმა დაგლოცოთ, საქართველოს სალოცავები შეგეწიოთ, გაგამრავლოთ და სიხარული და სიყვარული სუფევდეს თქვენში!

დღეს არის ანჩისხატობა. ახლა ჩვენ მივალთ ანჩისხატში და იქ წავიკითხავთ ლოცვებს, შემდეგ მივალთ მუზეუმში, სადაც არის დასვენებული დედანი ანჩისხატისა, ვემთხვევით მას, ლოცვებს აღვავლენთ მის წინაშე და შევავედრებთ საქართველოს და თქვენ ყველას, რომ მშვიდობა, სიხარული და სიყვარული სუფევდეს თქვენთან და საქართველოში, ამინ!

დალოცვილი და გახარებულნი იყავით!

ჩვენთან არს ღმერთი!

საქართველოს საპატრიარქოს განცხადება

ვთხოვთ ხელისუფალთ, არ დაუშვან სოდომ-გომორელთა საჯარო მსვლელობა

ვრცელდება ხმები იმის შესახებ, თითქოს თბილისში ან ბათუმში განზრახულია ე.წ. გეი-აღლუმის ჩატარება.

ამასთან დაკავშირებით სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ილია II-ის ლოცვა-კურთხევით ვაცხადებთ შემდეგს:

2000 — წლოვანი ქრისტიანული ისტორიის მქონე ჩვენს ქვეყანაში, 100000 მოწამის სისხლით მორწყულ ღვთისმშობლის წილხვედრ ივერიაში, წარმოუდგენელია და სრულიად დაუშვებელი ხალხისთვის მისაღებ ფორმად ჰომოსექსუალიზმის წარმოჩენა, რასაც მათი საჯარო მსვლელობის მოწყობა ნიშნავს.

გაუკუღმართებული სექსუალური ურთიერთობები არის უმძიმესი ცოდვა, რომლის ჩამდენნიც ამისგან სინანულით, აღსარებითა და ზიარებით უნდა გათავისუფლდნენ, რათა „ცოცხლივ ჯოჯოხეთად შთამხდელ რისხვას" გადაურჩნენ (რუის-ურბნისის კრება).

საერთოდ ცოდვა და მისი თითქმის ყველა გამოვლინება კაცობრიობის განვითარების მთელ მანძილზე არსებობდა, მაგრამ არც ერთ დროს იგი ნებადართულ მოვლენად არ მიიჩნეოდა. დღეს პირდაპირ თუ ირიბ ად ამის საწინააღმდეგო მდგომარეობა იქმნება.

ჩვენ ასევე ვალდებულნი ვართ, კიდევ ერთხელ გავაფრთხილოთ როგორც ადამიანის მორალურ-ზნეობრივი დაცემის ხელშემწყობნი, ისე განსაკუთ რებით მამათმავლობის, ლესბოსელობის და სხვა ავ ხორცული გამოვლინებების ლეგალიზების უფლების მქონენი, რომ თავის თავზე ღვთის დიდ სასჯელს მოიწევენ და ეს სასჯელი ერზეც გადავა.

შევნიშნავთ იმასაც, რომ მიუხედავად კომუნისტური რეჟიმის მავნე 70-წლიანი ზეგავლენისა, ჩვენი საზოგადოების უდიდესი ნაწილი ზნეობრივი ღირებულებების მტკიცე დამცველია (არა აქვს მნიშვნელობა, რა აღმსარებლობისაა იგი) და ამდენად ჰომოსექსუალთა აღლუმი, ბუნებრივია, მათში მძაფრ რეაქციას გამოიწვევს, რაც შეიძლება მკვეთრ დაპირისპირებაში გადაიზარდოს.

ვთხოვთ ხელისუფალთ, არ დაუშვან სოდომ-გომორელთა საჯარო მსვლელობა, რომ იგი არ იქცეს საშინელი ცოდვის, საზოგადოებრივი აღშფოთებისა და არეულობის მიზეზად.

დავდგეთ სასუფევლისკენ მიმავალ გზაზე, რათა ღმერთმა დალოცოს, დაამშვიდოს, გაამთლიანოს და გააძლიეროს სრულიად საქართველო.

20 აგვისტო, 2010 წელი

ქრონიკა. ინფორმაცია.

დაჯილდოება

19 აგვისტოს, ფერისცვალებას, სამების საკათედრო ტაძარში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ ცხუმ-აფხაზეთისა და საჩხერე-ჭიათურის მიტროპოლიტი დანიელი დააჯილდოვა უმაღლესი ჯილდოთი — სკუფიაზე ბრილიანტის ჯვრის ტარების უფლებით.

„საპატრიარქოს უწყებანი" ულოცავს მის მაღალყოვლადუსამღვდელოესობას, მეუფე დანიელს ამ ჯილდოს და უსურვებს მრავალჟამიერ სიცოცხლესა და ნაყოფიერ მოღვაწეობას საქართველოს ეკლესიის საკეთილდღეოდ.

კვიპროსის დელეგაცია საქართველოში

19 აგვისტოს, ფერისცვალების დღესასწაულზე, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორის ლოცვა-კურთხევით, საქართველოს კვიპროსის უმაღლეს სასულიერო პირთა დელეგაცია ესტუმრა. დელეგაციას კვიპროსის უძველესი ეპარქიის — ტომასოსა და ორინის მიტროპოლიტი ისაია ხელმძღვანელობდა. სტუმრები ერთი კვირის განმავლობაში საქართველოს ეკლესიის სხვადასხვა ეპარქიებს ესტუმრნენ და წმინდა ადგილები მოილოცეს. 22 აგვისტოს სტუმრებს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია

მეორემ უმასპინძლა. კვიპროსელთა დელეგაციამ საქართველო 26 აგვისტოს, გამთენიისას დატოვა.

სამძიმარი

გარდაიცვალა აფხაზი საზოგადო მოღვაწე **ლორიკ (გიორგი) მარშანია.**

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ ფერისცვალება დღეს სამების საკათედრო ტაძარში ქადაგებისას ბრძანა: „ეს იყო განსაკუთრებული ადამიანი. დღეს მას დასტირის არა მარტო აფხაზი ხალხი, არამედ, უპირველესად, ქართველი ხალხი. მან ყველას შეაყვარა თავი. ეს იყო პირველი ადამიანი, რომელმაც გაილაშქრა სეპარატიზმის წინააღმდეგ. ის ხედავდა მომავალს. ის ხედავდა, რომ სეპარატიზმი დაღუპავდა აფხაზეთს. მაგრამ ჩვენ გვაქვს იმედი ღვთისა, რომ მაღლი ღვთისა დაისადგურებს მთელ საქართველოში. ეს იყო დიდი მეცნიერი, დიდი მამულიშვილი, მამულიშვილი არა მარტო აფზაზეთის, არამედ საქართველოსი. დღეს ჩვენ აღვავლენთ ლოცვებს და შესრულდება პანაშვიდი მისი სულის საოხად".

„საპატრიარქოს უწყებანი" მწუხარებას გამოთქვამს აფხაზი საზოგადო მოღვაწის ლორიკ (გიორგი) მარშანიას გარდაცვალების გამო და მკითხველს ვთხოვთ, ლოცვებში მოიხსენიოს მისი სული.

ხელდასხმა

● 18 ივლისს ნინოწმინდის წმინდა ნინოს სახელობის საკათედრო ტაძარში საგარეჯოსა და ნინოწმინდის ეპისკოპოსმა ლუკამ (ლომიძე) დიაკვნად აკურთხა თბილისის სასულიერო სემინარიის III კურსის სტუდენტი **გელა ჭკადუა** და სახელად **გაბრიელი** უწოდა.

დიაკონი გაბრიელი თბილისის ყოვლადწმინდა სამების სახელობის საპატრიარქო ტაძრის ღვთისმსახურად დაინიშნა.

● 28 ივლისს მესტიის რაიონის სოფელ კალას წმინდა კვირიკესა და ივლიტას სახელობის ეკლესიაში მესტიისა და ზემო სვანეთის ეპისკოპოსმა ილარიონმა (ქიტიაშვილი) მღვდლად დაასხა ხელი თბილისის ყოვლადწმინდა სამების სახელობის საპატრიარქო ლავრის საძმოს წევრს, **ბერ-დიაკვან თეოდორეს (არღვლიანი).**

მღვდელ-მონაზონი თეოდორე მცხეთაში, გეთსამანიის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის მამათა მონასტერში იმსახურებს.

● 1 აგვისტოს ნინოწმინდის წმინდა ნინოს სახელობის საკათედრო ტაძარში საგარეჯოსა და ნინოწმინდის ეპისკოპოსმა ლუკამ (ლომიძე) დიაკვნად აკურთხა თბილისის სასულიერო აკადემიის V კურსის სტუდენტი **ირაკლი ახალაძე.**

დიაკონი ირაკლი თბილისის ყოვლადწმინდა სამების სახელობის საპატრიარქო ტაძრის ღვთისმსახურად დაინიშნა.

● 3 აგვისტოს თბილისის წმინდა პანტელეიმონ მკურნალის სახელობის ეკლესიაში ცურტაველმა ეპისკოპოსმა იაკობმა (იაკობიშვილი) დიაკვნად აკურთხა თბილისის ყოვლადწმინდა სამების სახელობის საპატრიარქო ლავრის საძმოს წევრი, **ბერი გაბრიელი (ჯიქია).**

ბერ-დიაკონი გაბრიელი თბილისის ყოვლადწმინდა სამების სახელობის საპატრიარქო ტაძრის ღვთისმსახურად დაინიშნა.

● 8 აგვისტოს ბოლნისის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის საკათედრო ტაძარში ბოლნელმა ეპისკოპოსმა ეფრემმა (გამრეკელიძე) დიაკვნად აკურთხა თბილისის სასულიერო აკადემიასთან არსებული ანთროპოლოგიის საღვთისმეტყველო ფაკულტეტის კურსდამთავრებული **გიორგი ფერაძე.**

დიაკონი გიორგი თბილისის ყოვლადწმინდა სამების სახელობის საპატრიარქო ტაძრის ღვთისმსახურად დაინიშნა.

● 8 აგვისტოს ბოლნისის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის საკათედრო ტაძარში ბოლნელმა ეპისკოპოსმა ეფრემმა (გამრეკელიძე) მღვდლად დაასხა ხელი თბილისის ყოვლადწმინდა სამების სახელობის საპატრიარქო ლავრის საძმოს წევრს, **ბერ-დიაკვან კონსტანტინეს (ნაროუშვილი).**

მღვდელ-მონაზონი კონსტანტინე თბილისის ყოვლადწმინდა სამების სახელობის საპატრიარქო ტაძრის მღვდელმსახურად დაინიშნა.

● 22 აგვისტოს საჩხერის წმინდა ნინოს სახელობის საკათედრო ტაძარში ცხუმ-აფხაზეთის, ჭიათურისა და საჩხერის მიტროპოლიტმა დანიელმა (დათუაშვილი) დიაკვნად აკურთხა თბილისის სასულიერო სემინარიის კურსდამთავრებული **თეიმურაზ რუხაძე.**

დიაკონი თეიმურაზი სავანის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიაში დაინიშნა.

● 22 აგვისტოს საჩხერის წმინდა ნინოს სახელობის საკათედრო ტაძარში ცხუმ-აფხაზეთის, ჭიათურისა და საჩხერის მიტროპოლიტმა დანიელმა (დათუაშვილი) მღვდლად დაასხა ხელი სავანის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის **დიაკვან ლევან კაციტაძეს.**

მღვდელი ლევანი სარეკის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის შობის სახელობის ეკლესიის წინამძღვრად დაინიშნა.

● 26 აგვისტოს სიონის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის საპატრიარქო ტაძარში ცურტაველმა ეპისკოპოსმა იაკობმა (იაკობიშვილი) ბერად აღკვეცა **მორჩილი გიორგი კუცია** და სახელად **გრიგოლი** უწოდა.

● 28 აგვისტოს სიონის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის საპატრიარქო ტაძარში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ დიაკვნად აკურთხა **ბერი გრიგოლი (კუცია).**

ბერ-დიაკონი გრიგოლი თბილისის ყოვლადწმინდა სამების სახელობის საპატრიარქო ტაძრის ღვთისმსახურად დაინიშნა.

● 28 აგვისტოს სიონის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის საპატრიარქო ტაძარში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ მღვდლად დაასხა ხელი ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიის ღვთისმსახურს, **არქიდიაკონ გიორგის (გურჩიანი).**

მღვდელ-მონაზონი გიორგი ეკლესიაში ერთგული სამსახურისათვის ამავე დღეს ოქროს ჯვრით დაჯილდოვდა და იღუმენის წოდება მიენიჭა.

● 29 აგვისტოს თბილისის ყოვლადწმინდა სამების სახელობის საპატრიარქო ტაძარში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ მღვდლად დაასხა ხელი თბილისის

ყოვლადწმინდა სამების სახელობის საპატრიარქო ლავრის საძმოს წევრს, **ბერ-დიაკვან პეტრეს (სუჯაშვილი).**

მღვდელ-მონაზონი პეტრე თბილისის ყოვლადწმინდა სამების სახელობის საპატრიარქო ტაძრის მღვდელმსახურად დაინიშნა.

დაჯილდოება

29 აგვისტოს თბილისის ყოვლადწმინდა სამების სახელობის საპატრიარქო ტაძარში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ ეკლესიაში ერთგული სამსახურისათვის დააჯილდოვა მცხეთა-თბილისის ეპარქიის სამღვდელოება:

გამშვენებული ჯვრითა და დეკანოზის წოდებით — კლდისუბნის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის მღვდელმსახური და თბილისის სასულიერო სემინარიისა და აკადემიის ლექტორი, **მღვდელი დავით ციცქიშვილი;**

ოქროს ჯვრითა და დეკანოზის წოდებით — ტაბახმელის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ეკლესიის წინამძღვარი, **მღვდელი ლევან კუტივაძე.**

ტაძრის კურთხევა

23 აგვისტოს ცხუმ-აფხაზეთის, ჭიათურისა და საჩხერის მიტროპოლიტმა დანიელმა (დათუაშვილი) აკურთხა სარეკის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის შობის სახელობის ეკლესია.

შეცდომის გასწორება

გაზეთ „საპატრიარქოს უწყებანის" წინა ნომერში, რუბრიკა — ქრონიკა-ინფორმაციაში გაიპარა უნებლიე შეცდომა: დიაკონ კონსტანტინე კავითაშვილის ნაცვლად უნდა ყოფილიყო **დიაკონი კონსტანტინე დავითაშვილი.**

განცხადება

საქართველოს საპატრიარქოსთან არსებული ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრი აცხადებს **საბავშვო წიგნის II ფესტივალს** და იწყებს მსურველთა რეგისტრაციას.

ფესტივალში მონაწილეობის პირობები:

ფესტივალში გამომცემლობებმა უნდა წარმოადგინონ 2009-2010 წლებში გამოცემული საბავშვო წიგნები;

ავტორებმა უნდა წარმოადგინონ გამოუქვეყნებელი ნაწარმოებები ელექტრონული სახით, შრიფტი Acadnusx, ზომა 12, 1,5 დაშორება.

საუკეთესო ნაწარმოებები ახალგაზრდული ცენტრის მიერ წიგნად გამოიცემა.

ფესტივალის ჟიური გამარჯვებულებს გამოავლენს შემდეგ ნომინაციებში:

საუკეთესო ავტორი;
საუკეთესო საბავშვო მოთხრობების კრებული;
საუკეთესო შემეცნებითი წიგნი;
საუკეთესო ზღაპრების კრებული;
საუკეთესო საბავშვო პოეზიის კრებული;
საუკეთესო ილუსტრაციები;
საუკეთესო თარგმანი;

მონაწილეობისათვის ავტორებმა და გამომცემლობებმა უნდა შეავსონ სპეციალური ანკეტები საპატრიარქოს ახალგაზრდულ ცენტრში და წარმოადგინონ საფესტივალო წიგნები 3 ეგზემპლარად, მისამართზე: წმინდა ელიას მთა, სამების საპატრიარქო ტაძარი, საქართველოს საპატრიარქოსთან არსებული ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრი.

ყოველდღე, 15.00-18.00 საათამდე, 25 ივნისიდან 25 სექტემბრამდე.

საპატრიარქოს ახალგაზრდული ცენტრის დარბაზებში მოხდება გამარჯვებულთა დაჯილდოება და საბავშვო წიგნების გამოფენა-გაყიდვა, რომლის თარიღსაც დამატებით გაცნობებთ.

საკონტაქტო ინფორმაცია: **895 300 516** გიორგი ფარეშიშვილი

www.axalgazrdoba.ge

Email: sabfestivali2010@gmail.com

შეევნიოთ ავადმყოფს

21 წლის ვალერი საგინაშვილს ესაჭიროება გადაუდებელი სამედიცინო დამხარება. გთხოვთ, გამოიჩინოთ გულისხმიერება და შეეწიოთ მას ლოცვით და შეძლებისდაგვარად — ფინანსურად.

ვალერი საგინაშვილისათვის გახსნილია ანგარიში:
სს. პროკრედიტბანკი მფო 220101925
ანგარიშის ნომერი: 44ჩ01336001000538 54
მიმღები: მზია ბარბაქაძე

თბილისის სასულიერო აკადემიის საეკლესიო გალობისა და ხალხური სიმღერის უმაღლესი სასწავლებელი

აცხადებს მიღებას

2010-2011 სასწავლო წლისათვის საეკლესიო გალობისა და ხალხური სიმღერის გუნდის ლოტბარის სპეციალობაზე;

სწავლება — უფასოა

სწავლების ხანგრძლივობა 4 წელი;

სწავლება — ქართულ ენაზე; მისაღებ გამოცდებზე დაიშვებიან საშუალო განათლების მქონე 30 წლამდე ასაკის ვაჟები.

გამოცდები ტარდება შემდეგ დისციპლინებში:

სიმღერა-გალობა;

აბიტურიენტს მოეთხოვება 6 ქართული საგალობლისა და 11 ხალხური სიმღერის ცოდნა, ცალ-ცალკე ხმების შესრულებითა და ხმიდან ხმაზე გადასვლით;

მუსიკის თეორია - წერა (კარნახი), ზეპირი (სოლფეჯიო, ელემენტარული თეორია).

ქართული ენა და ლიტერატურა (წერა);

საქართველოს ისტორია (ზეპირი);

კონსულტაციები გაიმართება 9 სექტემბერს, 10 საათიდან.

საბუთები მიიღება 23 აგვისტოდან — 8 სექტემბრის ჩათვლით, 10.00სთ-დან 15.00 სთ-მდე.

მისაღები გამოცდები ჩატარდება 10 სექტემბრიდან.

გაცნობებთ, რომ სასწავლებელში ფუნქციონირებს ერთწლიანი სკოლა (სწავლება უფასოა).

დამატებითი ცნობების მიღება შეიძლება უმაღლესი სასწავლებლის სამდივნოში. მისამართი: ქ. თბილისი, ვ. გაბისკირიას (ყოფილი ბალმაშევის) ქ. # 4 (სამების საკათედრო ტაძრის მთავარ კარიბჭესთან).

ტელეფონები: 45 06 19; 899 93 18 04.

მიმღები კომისია

წმიდა წერილი და ეკლესიის მამები მიუთითებენ მჭიდრო და განუყოფელ ურთიერთკავშირზე რწმენასა და სიყვარულს შორის, რაც ვლინდება ქრისტიანული ღვთისმეტყველების ცოდნასა და სარწმუნოებრივ ცხოვრებაში, რომელიც თავის თავში მოიაზრებს არა მარტო ღვთისმსახურებებზე დასწრებასა და საეკლესიო საიდუმლოებებში მონაწილეობას, არამედ ღვთივსათნო საქმეებს, რომელსაც მოყვასისადმი სიყვარული გვკარნახობს.

უფალი ბრძანებს: „ტვირთი ჩემი მსუბუქ არს (მათე 11, 30). რაოდენ მძიმეა ჩვენთვის, შევუნდოთ მოყვასს თუნდაც წვრილმანი შეცოდება, — მაგრამ თუკი ამის გამო შენი ცოდვები მიგეტევება და უმალ შენდობას მიიღებ უფლისგან! უფალს არ უთქვამს: „შემომწირე შენი მამული, საქონელი, ან მარხვა, ან ფხიზლობა", რათა შეგძლებოდა გეპასუხა: „მე ეს არ მაქვს" ანდა „მე ეს არ ძალმიძს". არა, მან ისეთი რამ ბრძანა რაც ადვილია, მოსახერხებელი და ბევრ დროსაც არ საჭიროებს: „შეუნდე ძმასა შენსა შეცოდებანი შენნი და მე შეგინდობ შენ შენს ცოდვებს. შენ მცირე შეცდომებს შეუნდობ, შესაძლოა — სამიოდე დინარს, მე კი ათას ტალანტს შეგინდობ. შენ შეუნდობ მხოლოდ და არაფერს გასცემ ძღვნად, მე კი ცოდვებსაც შეგინდობ და კურნებასაც მოგმადლებ და სასუფეველსაც. შენ ძღვენს კი მაშინ შევინირავ, როცა მტრებს შეურიგდები და აღარავისთან გექნება მტრობა; როცა შენი მრისხანება მზის ჩასვლამდე გაიფანტება, როცა ყველასთან მშვიდობა და სიყვარული გექნება. მაშინ შენი ლოცვა იქნება ღვთისათვის სათნო, შენი ძღვენიც შეინირება სახლიც იკურთხება და შენც იქნები ნეტარი.

ღირსი ამბა დოროთე მადლის მოსახვეჭად ერთერთ ღვთივსათნო გზად სნეულთა მოვლას ასახელებს და გვმოძღვრავს: „გვახსოვდეს, რომ ყოველი სნეული უფრო მეტად ჩვენ გვემსახურება, ვიდრე ჩვენ მას, — რადგან თუკი ამგვარ მოწყალების საქმეს ვიქმთ, ამით ღმერთს ვემსახურებით და უდიდეს მადლს ვიუნჯებთ. ჭეშმარიტი ქრისტიანული სიყვარულით ადამიანი მას შეეწევა, ვისგანაც საპასუხოდ არაფერს მოელის. ამგვარი სიყვარული ქრისტიანული ვალის შეგრძნების გარეშე არ გაიწვრთნება. ამ მოვალეობის შეგრძნებით კი გამოიღებს ნაყოფად სიყვარულს და ამ მადლით აღვსილი გული შემდგომში უკვე ჩვენი ძალდატანების გარეშე სიხარულით აღასრულებს მოწყალების საქმეებს.

წმინდა ეფრემ ასური გვმოძღვრავს: „თუკი „ღმერთი სიყვარული არს" და ყოველივე, რაც უსიყვარულოდ კეთდება არ არის სათნო ღვთისათვის, მაშინ როგორღა შეიწირავს უფალი ლოცვასა და ძღვენს მკვლელისაგან, — თუკი ეს უკანასკნელი ძღვნის შეწირვამდე სათანადოდ არ მოინანიებს? შენ, უეჭველია, იტყვი: „მე მკვლელი არ ვარ!" მე კი დაგიმტკიცებ, რომ სწორედ მკვლელი ხარ. სჯობს, იოანე ღვთისმეტყველის პირით გამხილო: „ყოველსა რომელსა სძულდეს ძმაი თვისი, იგი კაცისმკვლელი არს" (1 იოანე 3,15).

არაფერი ვამჯობინოთ სიყვარულის შეძენას, ძალისხმევა არ დავიშუროთ და ასე სხვა არაფრისთვის ვიზრუნოთ. ნურავინ მიაგებს ბოროტებაზე ბოროტებით. მზის ჩასვლა ნუ დაასწრებს ჩვენი მრისხანების გაფანტვას.

ნურაფერს იქმ უსიყვარულოდ, რადგან სწორედ სიყვარულია ყოველი ცოდვის გადამფარველი."

მარიამ გაგუა

ქრონიკა. ინფორმაცია.

უნივერსიტეტში არაქართველი ახალგაზრდებისთვის ქართული ენის შემსწავლელი კურსი გაიხსნა

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში არაქართველი ახალგაზრდებისთვის ქართული ენის შემსწავლელი კურსი გაიხსნა. სპეციალური პროგრამის ფარგლებში 170 სტუდენტი ერთი წლის განმავლობაში ქართულ ენას შეისწავლის. ამ ახალგაზრდებმა ერთიანი ეროვნული გამოცდები ზოგად უნარებსა და უცხო ენაში უკვე ჩააბარეს, ქართული ენის კურსის დამთავრების შემდეგ კი უნივერსიტეტის სრულფასოვანი სტუდენტები გახდებიან.

დაჯილდოება

9 სექტემბერს სტეფანწმიდის რაიონის სოფელ ახალციხის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ეკლესიაში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ მთავარეპისკოპოსის წოდება მიანიჭა ცაგერისა და ლენტეხის ეპისკოპოსს სტეფანეს (კალაიჯიშვილი).

„საპატრიარქოს უწყებანი" ულოცავს მაღალყოვლადუსამღვდელოეს სტეფანეს ამ მაღალ წოდებას და უსურვებს მრავალჟამიერ სიცოცხლესა და ნაყოფიერ მოღვაწეობას საქართველოს ეკლესიის საკეთილდღეოდ.

ახალი ხატი პარიზის ქართულ სამრევლოში

29 აგვისტოს ქართველმა რაგბისტებმა პარიზის ქართულ სამრევლოს ყოვლადწმინდა სამების ხატი შემოსწირეს. ხატი ქართველი სპორტსმენების შემოწირულობით და დასავლეთ ევროპის ეპარქიის მმართველის, მიტროპოლიტ აბრაამის (გარმელია) ლოცვა-კურთხევით დაწერა ხატმწერმა მამუკა მიქელაძემ.

ქართველმა რაგბისტებმა ხატი პარიზის საკათედრო ტაძარში საზეიმოდ მიაბრძანეს. ტაძრის წინამძღვარმა, არქიმანდრიტმა ანტონმა (კანდელაკი) პარაკლისი შეასრულა და აკურთხა შემომწირველნი.

ხელდასხმა

28 აგვისტოს ცაიშის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის საკათედრო ტაძარში ზუგდიდისა და ცაიშის მიტროპოლიტმა გერასიმემ (შარაშენიძე) მღვდლად დაასხა ხელი დიაკონ გიორგი ვაჩეიშვილს, ხოლო დიაკვნად — ბერ ექვთიმეს (ახალაია).

ნინო დადიანის მილიონ დოლარად შეფასებული პორტრეტი დადიანების მუზეუმს უბრუნდება

ნინო დადიანის მილიონ დოლარად შეფასებული პორტრეტი ჯერ კიდევ 6 თვის წინ არავინ იცოდა თუ სად ინახებოდა. პორტრეტი კალიფორნიელმა კოლექციონერმა რამდენიმე თვის წინ ინტერნეტ-აუქციონზე გასაყიდად გამოიტანა. მალე მისი ფასი 10 ათასი დოლარიდან მილიონ დოლარამდე გაიზარდა. ხანგრძლივი მოლაპარაკების შემდეგ ავსტრალიაში მცხოვრებმა დადიანთა საგვარეულოს წარმომადგენელმა ვიქტორ დადიანმა პორტრეტი შეიძინა და საქართველოს სახელმწიფოს საჩუქრად გადასცა. 10 სექტემბერს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროში მისი პრეზენტაცია გაიმართა. 14 სექტემბერს პორტრეტი ზუგდიდის დადიანების სასახლეების ისტორიულ არქიტექტურულ მუზეუმს გადაეცემა.

სამძიმარი

საპატრიარქოს პრესცენტრი მწუხარებით იუწყება, რომ 8 სექტემბერს გარდაიცვალა **დიდუბის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის შობის სახელობის ტაძრის წინამძღვარი, დეკანოზი სიმონ ნუცუბიძე** და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

მკითხველს ვთხოვთ, ლოცვებში მოიხსენიოს ახლად შესვენებული დეკანოზი სიმონის სული.

* * *

საპატრიარქოს პრესცენტრი მწუხარებით იუწყება, რომ ხუროთმოძღვრების, ხელოვნებისა და რესტავრაციის ცენტრის პრეს-მდივანს, **თამარ კვანტალიანს გარდაეცვალა დედა — ეთერ კვანტალიანი** და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

მკითხველს ვთხოვთ, ლოცვებში მოიხსენიოს ახლად შესვენებული ეთერის სული.

* * *

საპატრიარქოს პრესცენტრი მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა მონაზონ სალომეს (ფირანიშვილი) ძმა იაგო ფირანიშვილი და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

მკითხველს ვთხოვთ, ლოცვებში მოიხსენიოს ახლად შესვენებული იაგოს სული.

საპატრიარქოს რელიგიური ტურიზმის დეპარტამენტი

საპატრიარქოს რელიგიური ტურიზმის დეპარტამენტი გიწვევთ მოილოცოთ წმინდა ადგილები:

გარეჯი 18 სექტემბერი; შაბათი; გასვლა 8 სთ; ფასი 15 ლ;

წალკა-ოიანქა 18 სექტემბერი; შაბათი; გასვლა 8 სთ; ფასი 20 ლ;

ბოდბე-ხირსა 19 სექტემბერი; კვირა; გასვლა 8სთ; ფასი 15 ლ;

უბისა-ტაბაკინი 19 სექტემბერი; კვირა; გასვლა 8 სთ; ფასი 24 ლ;

გელათი-მოწამეთა-ბაგრატი (ღვთისმშობლობა) 21 სექტემბერი; სამშაბათი; გასვლა 7 სთ; ფასი 20 ლ;

ბეთანია-მანგლისი (ღვთისმშობლობა; ხსენება წმ. აღმსარებელთა იოანესი და გიორგი- იოანესი) 21 სექტემბერი; სამშაბათი გასვლა 7 სთ; ფასი 15 ლ;

მარტვილი (ხსენება გიორგი ჭყონდიდელისა) 24 სექტემბერი; პარასკევი; გასვლა 23 საათზე; ფასი 28 ლარი;

წილკანი-მუხრანი-ძალისი 25 სექტემბერი; შაბათი: გასვლა 8 საათზე; ფასი 13 ლარი;

ყინწვისი-სამწევრისი 25 სექტემბერი; შაბათი; გასვლა 8 საათზე; ფასი 17 ლ;

იყალთო-შუამთა-ალავერდი 26 სექტემბერი; კვირა; გასვლა 8 სთ; ფასი 19 ლ;

შიო-მღვიმე-მცხეთა 26 სექტემბერი; კვირა; გასვლა; 8 სთ; ფასი 14 ლ;

ვარძია (ვარძია, ზარზმა, ჭულევი, საფარა;) 25 -26 სექტემბერი; გასვლა შაბათს 7 სთ; ფასი 72 ლ;

კაბადოკია 30 სექტემბერი-5 ოქტომბერი; საბუთების მიღება 27 სექტემბრამდე; ფასი 320 $; გასვლა 7:00 სთ.

ყოვლადწმინდა სამების ხატი დასავლეთ ევროპის ეპარქიის მმართველის, მიტროპოლიტ აბრაამის (გარმელია) ლოცვა-კურთხევით დაიწერა. მის შესაქმნელად შემოწირულობები გაიღეს საფრანგეთში მოღვაწე ქართველმა სპორტსმენებმა. ხატი შესასრულებლად შეუკვეთეს ხატმწერ მამუკა მიქელაძეს.

29 აგვისტოს ქართველმა რაგბისტებმა ხატი პარიზის საკათედრო ტაძარში საზეიმოდ მიაბრძანეს. აქ მათ მიეგებნენ ტაძრის წინამძღვარი, არქიმანდრიტი ანტონი (კანდელაკი), მრევლთან ერთად. მამა ანტონმა ყოვლადწმინდა სამების პარაკლისი შეასრულა და აკურთხა ხატი და შემომწირველნი.

წიგნის პრეზენტაცია

3 სექტემბერს საპატრიარქოსთან არსებულ ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრში გაიმართა გიორგი გვასალიას წიგნის „ურთიერთას სიმძიმე იტვირთეთ" პრეზენტაცია. წიგნში ავტორი საუბრობს ინვალიდი ბავშვების პრობლემებზე, ავადმყოფობის მიზეზებზე, რწმენაზე, როგორც საშუალებაზე სნეულებისაგან თავის დასაცავად და მრავალ სხვა საკითხზე. წიგნის მთავარი რედაქტორია ცაგერისა და ლენტეხის მთავარეპისკოპოსი სტეფანე.

კრებულში შესული სახარებისეული ილუსტრაციები შეასრულა ხატმწერმა ქეთევან ხაჟომიამ. წიგნი „ვორლდ ვიჟენის" ხელშეწყობით დაიბეჭდა.

ბერად აღკვეცა

22 აგვისტოს უდაბნოს წმინდა იოანე ნათლისმცემლის სახელობის მამათა მონასტერში შემოქმედელმა მიტროპოლიტმა იოსებმა (კიკვაძე) ბერად აღკვეცა ამავე მონასტრის მორჩილები: **ზურაბ ახრახაძე** (სახელად ეწოდა — **მოსე**) და **გიორგი ურუშაძე** (სახელად ეწოდა — **ილარიონი**).

* * *

11 სექტემბერს უდაბნოს წმინდა იოანე ნათლისმცემლის სახელობის მამათა მონასტერში შემოქმედელმა მიტროპოლიტმა იოსებმა (კიკვაძე) ბერად აღკვეცა ჯუმათის მთავარანგელოზთა სახელობის მამათა მონასტრის **მორჩილი ბექა (იაკობიძე)** და სახელად ეწოდა **დავითი.**

ხელდასხმა

21 სექტემბერს, დიდუბის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის სახელობის ტაძარში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ მღვდლად დაასხა ხელი **ბერ-დიაკონ დავითს (ლესტანი).**

* * *

29 აგვისტოს ოზურგეთის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის საკათედრო ტაძარში შემოქმედელმა მიტროპოლიტმა იოსებმა (კიკვაძე) დიაკვნად აკურთხა **ბერი მოსე (ახრახაძე).**

ბერ-დიაკონი მოსე გორთაფონის მამათმთავართა სახელობის მამათა მონასტერში იმსახურებს.

* * *

29 აგვისტოს სამთავისის მაცხოვრის ამაღლების სახელობის საკათედრო ტაძარში გორისა და სამთავისის მიტროპოლიტმა ანდრიამ (გვაზავა) მღვდლად დაასხა ხელი თბილისის ყოვლადწმინდა სამების სახელობის საპატრიარქო ტაძრის **დიაკვანს ლევან გოგიას.**

მღვდელი ლევანი თბილისში, საბურთალოს წმინდა კოსმა და დამიანეს სახელობის ეკლესიის მღვდელმსახურად დაინიშნა.

* * *

5 სექტემბერს ოზურგეთის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის საკათედრო ტაძარში შემოქმედელმა მიტროპოლიტმა იოსებმა (კიკვაძე) დიაკვნად აკურთხა **ბერი ილარიონი (ურუშაძე).**

ბერ-დიაკონი ილარიონი უდაბნოს წმინდა იოანე ნათლისმცემლის სახელობის მამათა მონასტერში იმსახურებს.

* * *

5 სექტემბერს ყოვლადწმინდა სამების სახელობის საპატრიარქო ტაძარში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ მღვდლად დაასხა ხელი თბილისის ყოვლადწმინდა სამების სახელობის საპატრიარქო ტაძრის **დიაკვანს აკაკი კუპრაშვილს.**

მღვდელი აკაკი ორთაჭალის წმინდა ვახტანგ გორგასლის სახელობის ეკლესიის წინამძღვრად დაინიშნა.

* * *

12 სექტემბერს შემოქმედის მაცხოვრის ფერისცვალების სახელობის საკათედრო ტაძარში შემოქმედელმა მიტროპოლიტმა იოსებმა (კიკვაძე) დიაკვნად აკურთხა **ბერი დავითი (იაკობიძე).**

ბერ-დიაკონი დავითი ჯუმათის მთავარანგელოზთა სახელობის მამათა მონასტერში იმსახურებს.

დაჯილდოება

5 სექტემბერს თბილისის ყოვლადწმინდა სამების სახელობის საპატრიარქო ტაძარში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ ეკლესიაში ერთ-

გული სამსახურისათვის დააჯილდოვა მცხეთა-თბილისის ეპარქიის სამღვდელოება:

არქიმანდრიტის წოდებით — ნაქულბაქევის წმინდა გიორგის სახელობის მამათა მონასტრის წინამძღვარი, **ილუმენი იოანე** (გვაჯაია);

გამშვენებული ჯვრით — ფონიჭალას დასახლებაში მდებარე, 153 საშუალო სკოლის ტერიტორიაზე არსებული წმინდა ნიკოლოზის სახელობის ეკლესიის წინამძღვარი, **დეკანოზი გიორგი გუგენიშვილი;** თბილისის წმინდა ჯვრის მამის სახელობის ეკლესიის წინამძღვარი, **დეკანოზი არჩილ ავანაშვილი.**

* * *

21 სექტემბერს, დიდუბის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის შობის სახელობის ტაძარში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ დააჯილდოვა სამღვდელოება:

ტაძრის წინამძღვარი თეიმურაზ შალვაშვილი — მეორე გამშვენებული ჯვრით;

დეკანოზი პეტრე ბარამიძე — მიტრის ტარების უფლებით;

დეკანოზი რომანოზ ტონია — მიტრის ტარების უფლებით;

მღვდელ-მონაზონი დავითი (ლესტანი) — ოქროს ჯვრითა და ილუმენის წოდებით;

მღვდელი გრიგოლ აბესაძე — ოქროს ჯვრითა და დეკანოზის წოდებით;

მღვდელი გიორგი თიკანაშვილი — ოქროს ჯვრითა და დეკანოზის წოდებით.

სამძიმარი

საპატრიარქოს პრესცენტრი მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა საპატრიარქოს უძველესი თანამშრომელი შოთა კობაიძე და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

მკითხველს ვთხოვთ, ლოცვებში მოიხსენიოს ახლად შესვენებული შოთას სული.

საპატრიარქოს რელიგიური ტურიზმის დეპარტამენტი

საპატრიარქოს რელიგიური ტურიზმის დეპარტამენტი გიწვევთ მოილოცოთ წმინდა ადგილები:

მარტვილი (ხსენება გიორგი ჭყონდიდელისა) 24 სექტემბერი; პარასკევი;

გასვლა 23 საათზე; ფასი 28 ლარი;

წილკანი-მუხრანი-ძალისი 25 სექტემბერი; შაბათი: გასვლა 8 საათზე; ფასი13 ლარი;

ყინწვისი-სამწევრისი 25 სექტემბერი; შაბათი; გასვლა 8 საათზე; ფასი 17 ლ;

იყალთო-შუამთა-ალავერდი 26 სექტემბერი; კვირა; გასვლა 8 სთ; ფასი 19 ლ;

შიო-მღვიმე-მცხეთა 26 სექტემბერი; კვირა; გასვლა; 8 სთ; ფასი 14 ლ;

ვარძია (ვარძია, ზარზმა, ჭულევი, საფარა;) 25 - 26 სექტემბერი; გასვლა შაბათს 7 სთ; ფასი 72 ლ;

კაბადოკია 30 სექტემბერი-5 ოქტომბერი; საბუთების მიღება 27 სექტემბრამდე; ფასი 320 $; გასვლა 7:00 სთ.

მომლოცველებს მოემსახურება გიდი

ბილეთები გაიყიდება შემდეგ მისამართებზე:

"წმიდა კუთხე" ბახტრიონის ქ. 8

ჩიტაიას ქ. 39 ; ლესელიძის ქ.30

ქაშუეთის წმ. გიორგის ტაძართან არსებული მაღაზია, რუსთაველის 9

დიდუბის ღვთისმშობლის ტაძართან არსებული მაღაზია, წერეთლის 44

ავტობუსები გადის სპორტის სასახლის მიმდებარე ტერიტორიიდან ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით ტელ: **92 39 78 (11-დან 17 სთ-მდე);** ტელ/ფაქ: **92 39 79**

ელ.ფოსტა: **piligrim_church@yahoo.com**

(899)33 33 52; (879) 01 08 64;

განცხადება

თბილისის ნიკო ბაგრატიონის სახელობის თავად-აზნაურთა სკოლა-ლიცეუმი აცხადებს მოსწავლეთა მიღებას.

სკოლა-ლიცეუმი საპატრიარქოსა და განათლების სამინისტროს ორმაგ დაქვემდებარებაშია. სასწავლო წელი სკოლაში ინდიქტიონის დასაწყისში, 14 სექტემბერს, იწყება.

მოსწავლეთა აღზრდის პროცესი სკოლა-ლიცეუმში მართლმადიდებელი ეკლესიის ეროვნული ტრადიციების საფუძველზე წარიმართება.

ზოგად-საგანმანათლებლო პროგრამების გარდა მოსწავლეები გაძლიერებულად ეუფლებიან უცხო ენებს (გერმანული, ინგლისური, რუსული, ბერძნული), რელიგიის ისტორიას, ეკლესიის ისტორიას, კატეხიზმოს, საეკლესიო გალობას, ქართულ ცეკვას, ხელსაქმეს, ხრიდოლს, ჭადრაკს, ცურვას.

სასწავლო პროგრამა 12-წლიან ციკლს მოიცავს. სწავლების მესამე საფეხურიდან გათვალისწინებულია სპეციალიზაციები ჰუმანიტარული, იურიდიული და ეკონომიკური მიმართულებებით.

სკოლა-ლიცეუმში დიდი ყურადღება ექცევა მოსწავლეების მონარქისტული სულისკვეთებით აღზრდას.

წარჩინებული მოსწავლეები ჩაირიცხებიან აშშ-ს სასწავლო გაცვლით პროგრამებში.

ცხადდება მიღება მოსამზადებელ განყოფი-

მინეთ. ზღვის ღელვაში მყოფი თუ ცნობისაგან მოკლებული არ შეიქმნა ლიმენად მისვლას არ ჰყოვნის, უფროსად ისწრაფის, რომ ღელვისაგან არ დაინთქას, - ეგრეთუე ცოდვის ღელვაში მყოფი, თუ ცნობისაგან მოკლებული არ არის, სინანულისა მიმართ მისვლას არ უნდა ჰყოვნიდეს, უფროსაც უნდა ისწრაფდეს, რომ ცოდვის ღელვისაგან არ დაინთქას. კეთილზედ მცონარებისა და დაყოვნებისაგან მრავალი ვნება მოიწევა, ვითარცა ზემო ითქვა, და მიზეზი რა არის, რომ აყოვნებს კაცი კეთილის და ბოროტის მცონარებისაგან არ ივლტის? მიზეზი ეს არის, რომ ქრისტეს ხმას არ ისმენს; თუ ქრისტეს ხმას ისმენდეს, მცონარების უძლურებასაც ადვილად განაგდებს; ვითარცა განრღუეულმან ისმინა ხმა ქრისტესი და განაგდო უძლურება განრღუეულებისა, აღიღო ცხედარი თვისი და წარვიდა სახით თვისსა; - ეგრეთუე რომელიც ქრისტეს სიტყუას ისმენს, მცონარების უძლურებას განაგდებს და ადგომილი სულიერად სახლად ეკლესიად წარვალს. კვალად ლაზარემ ისმინა ქრისტეს სიტყუა და განაგდო უძლურება სიკუდილისა და აღსდგა, - ეგრეთუე რომელიც ქრისტეს სიტყუას ისმენს, მცონარების უძლურებას განაგდებს და აღსდგება. ეგების ჰსთქუას ვინმე: ლაზარეს ხმა უყო ქრისტემან და უწოდა, ჩუენ ოდეს ხმა გვიყო, ანუ ოდეს გვიწოდა? ჩემებრ მცონარნო? თუ ქრისტემან არ გიწოდა, ეს ხმა ვისი არის: „მოვედით ჩემდა ყოველნი მაშვრალნი და ტვირთ მძიმენი და მე განგისუენო თქუენ". ორის საქმისათვის აწ მცონართ მცონარების მიზეზი არა აქუთ: ერთად ამისთვის რომ თვით ქრისტე უწოდს, ვითარ იგი არს: „მოვედით ჩემდა", მეორედ: მცონართ რომ განსუენება სურისთ, ქრისტეც განსუენებას აღუთქვამს, ვითარ იგი არს: „და მე განგისუენო თქუენ". ვინათგან მიზეზი არა გეპოვებათ რა, ყოვლითურთ უმსგავსო არის მცონარება კეთილთა ზედა, არამედ მოსწრაფებით იქმოდეთ კეთილსა და შეუდეგით მწოდებელსა თქუენსა ქრისტესა მეუფესა, რომლისა არს დიდება აწ და საუკუნეთა უკუნისამდე, ამინ.

ქრონიკა. ინფორმაცია.

ხელდასხმა

10 ოქტომბერს ნინოწმინდის წმინდა ნინოს სახელობის საკათედრო ტაძარში საგარეჯოსა და ნინოწმინდის ეპისკოპოსმა ლუკამ (ლომიძე) დიაკვნად აკურთხა თბილისის სასულიერო სემინარიის II კურსის სტუდენტი გიორგი გურამიშვილი.

დიაკონი გიორგი თბილისის ყოვლადწმინდა სამების სახელობის საპატრიარქო ტაძრის ღვთისმსახურად დაინიშნა.

***

11 ოქტომბერს სიონის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის საპატრიარქო ტაძარში ცურტაველმა ეპისკოპოსმა იაკობმა (იაკობიშვილი) დიაკვნად აკურთხა თბილისის სასულიერო აკადემიის IV კურსის სტუდენტი თომა შენგელია.

დიაკონი თომა თბილისის ყოვლადწმინდა სამების სახელობის საპატრიარქო ტაძრის ღვთისმსახურად დაინიშნა.

***

10 ოქტომბერს რუსთავის წმინდა ვახტანგ გორგასალის სახელობის საკათედრო ტაძარში რუსთავისა და მარნეულის მთავარეპისკოპოსმა იოანემ დიაკვნად დაასხა ხელი წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის საპატრიარქოს ქართული უნივერსიტეტის სტუდენტს ნიკოლოზ ტატუაშვილს.

დიაკონი ნიკოლოზი რუსთავის წმინდა ვახტანგ გორგასალის სახელობის საკათედრო ტაძარში იმსახურებს.

ტაძრის კურთხევა

18 ოქტომბერს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, ცურტაველმა ეპისკოპოსმა იაკობმა (იაკობიშვილი) აკურთხა ტაბახმელის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ეკლესია.

ტაძრის კურთხევაში მონაწილეობდნენ ამავე ტაძრის წინამძღვარი, დეკანოზი ლევან კუტივაძე და მცხეთა-თბილისის ეპარქიის სამღვდელოება: მღვდელი ნიკოლოზ ბურდილაძე, მღვდელი არჩილ გვიმრაძე, მღვდელი ლევან მერაბიშვილი და მღვდელი იოსებ ნუსხელაძე. ასევე ბერ-დიაკონი პავლე (ქებულაძე).

სამძიმარი

საპატრიარქოს პრესცენტი მწუხარებით იუწყება, რომ ამა წლის 9 ოქტომბერს გარდაიცვალა მარგვეთისა და უბისის ეპარქიის მღვდელმსახური, ზესტაფონის წმინდა ნინოსა და ილემის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიების მოძღვარი, მღვდელი გაბრიელ სულიაშვილი.

მკითხველს ვთხოვთ, ლოცვებში მოიხსენიოს ახლად შესვენებული მღვდელი გაბრიელის სული.

***

საპატრიარქოს პრესცენტი მწუხარებით იუწყება, რომ მიხეილ ბუკიას გარდაეცვალა მეუღლე მარიამ გაგნიძე.

მკითხველს ვთხოვთ, ლოცვებში მოიხსენიოს ახლად შესვენებული მარიამის სული.

განცხადება

საპატრიარქოს საქველმოქმედო ფონდ "ლაზარე"—სთან არსებული სასწავლო სახელოსნო აცხადებს სტუდენტთა მიღებას სანიტარულ—ტექნიკური სამუშაოებისა და გათბობა—ვენტილაციის ოსტატის სპეციალობის შესასწავლად.

ქრონიკა. ინფორმაცია.

წმინდა ასი ათასი მოწამისადმი აღვლენილი სავედრებელი პარაკლისი

13 ნოემბერს, დილით, თბილისის სხვადასხვა ტაძრის მრევლი, მოძღვრებთან ერთად, ხატებითა და ჯვრებით წმინდა ასი ათასი მოწამის წამების ადგილას, მეტეხის ხიდისკენ გაემართა.

უკვე მესამე წელია, რაც ამ დღეს მრევლის ტრადიციული საზეიმო მსვლელობა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით ეწყობა. წელს მრევლი მეტეხის ხიდისკენ დიდუბის პანთეონიდან, ვაკის პარკიდან, სპორტის სასახლიდან და ისნის მეტროდან დაიძრა. მსვლელობის ორგანიზატორი იყო საპატრიარქოსთან არსებული ახალგაზრდული მოძრაობა — „დავითიანნი".

შეკრებილ მრევლთან მეტეხის ხიდზე სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II მიბრძანდა და სავედრებელი პარაკლისი აღავლინა. პარაკლისის დასასრულს კათოლიკოს-პატრიარქმა მრევლს ქადაგებით მიმართა. **„მეტეხის ხიდი ის ადგილია, სადაც თბილისის ისტორია ყველაზე უკეთ იკითხება. აქ მომხდარ უამრავ ამბავს შორის, რაც ამ გარემოსაც და ქართველებსაც კარგად ახსოვთ დღეს, ყველაზე მნიშვნელოვანი ერთი ისტორიაა, თუ როგორ აწამეს ჯალალ-ედ-დინის ბრძნებით ასი ათასი ქართველი იმის გამო, რომ მათ უარი არ თქვეს ჭეშმარიტ სჯულზე და ხიდზე გადებულ ღვთისმშობლისა და მაცხოვრის ხატები არ შეურაცხყვეს!"** — აღნიშნა კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ.

პარაკლისის დასასრულს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ და მრევლმა მეტეხის ხიდიდან მტკვარს ოცხალი ყვავილების გვირგვინები და თაიგულები გაატანეს.

ხელდასხმა

14 ნოემბერს ყოვლადწმინდა სამების სახელობის საპატრიარქო ტაძარში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ მღვდლად დაასხა ხელი ამავე ტაძრის ბერ-დიაკონ გრიგოლს (კაცია).

მღვდელ-მონაზონი გრიგოლი ყოვლადწმინდა სამების სახელობის საპატრიარქო ტაძარში იმსახურებს.

საქართველოს საპატრიარქოსთან არსებული ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრის განცხადება

საქართველოს საპატრიარქოსთან არსებული ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრში (ყოვლადწმინდა სამების საპატრიარქო ტაძარი) ყოველდღე იმართება შემეცნებითი საუბრები. დასწრება თავისუფალია.

ორშაბათი — 22.11.10 — გიორგობის დღესასწაულის გამო შემეცნებითი საუბარი არ გაიმართება.

სამშაბათი — 23.11.10 — გიორგობის დღესასწაულის გამო შემეცნებითი საუბარი არ გაიმართება.

ოთხშაბათი — 24.11.10 — საქართველოს მწერალთა კავშირის საღამო **(18:00 სთ.).**

ხუთშაბათი — 25.11.10 — მსახიობ თენგიზ არჩვაძის შემოქმედებითი საღამო **(18:00 სთ.).**

პარასკევი — 26.11.10 — მაია წიკლაურის წიგნის „გოდერძი ჩოხელი — შემოქმედება საზღვრების გარეშე" — წარდგინება **(19:00 სთ.).**

კვირა — 28.11.10 — ნაჩვენები იქნება გიორგი კალანდიას ფილმი „ერთი ჭოროხის შვილები" **(15:00 სთ.).**

საპატრიარქოს რელიგიური ტურიზმის დეპარტამენტი

საპატრიარქოს რელიგიური ტურიზმის დეპარტამენტი გიწვევთ მოილოცოთ წმინდა ადგილები:

ყინწვისი-სამწევრისი — 20 ნოემბერი; შაბათი; გასვლა 8 საათზე; ფასი 16 ლ;

13 ასურელი მამების კვალდაკვალ:

მარტყოფი-ნორიო — 21 ნოემბერი; კვირა; გასვლა 8სთ; ფასი 14 ლ;

სარკის წმინდა გიორგი — 23 ნოემბერი; სამშაბათი; გასვლა 8 სთ; ფასი 17 ლ;

ტიმოთესუბანი, სადგერის წმინდა გიორგი, მწვანე მონასტერი — 23 ნოემბერი;

სამშაბათი; გასვლა 8 სთ; ფასი 19ლ;

შავნაბადა-თელეთი — 23 ნოემბერი; სამშაბათი; გასვლა 8 სთ; ფასი 13ლ;

ისრაელი წმინდა მიწა-სინას მთა (წმინდა ეკატერინეს მონასტერი); მაცხოვრის შობის დღესასწაულისათვის — 4-11 იანვარი; საბუთების მიღება 8 დეკემბრამდე; ფასი 1500-1600 $;

იტალია — 3-12 დეკემბერი; ფასი 1800€; საბუთების მიღება ნოემბრამდე;

მომლოცველებს მოემსახურება გიდი.

ბილეთები გაიყიდება შემდეგ მისამართებზე:

„წმიდა კუთხე", ბახტრიონის ქ. 8.

ჩიტაიას ქ. 39 ; ლესელიძის ქ.30

ქაშუეთის წმინდა გიორგის ტაძართან არსებული მაღაზია, რუსთაველის 9.

დიდუბის ღვთისმშობლის ტაძართან არსებული მაღაზია, წერეთლის 44.

ავტობუსები გადის სპორტის სასახლის მიმდებარე ტერიტორიიდან

ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით ტელ: 92 39 78 (11-დან 17 სთ-მდე);

ტელ/ფაქ: 92 39 79

ელ.ფოსტა: piligrim_church@yahoo.com

(899)33 33 52; (879) 01 08 64.

შეეწიეთ სნეულს

აგვისტოს ომში დაზარალებულ დევნილ ოჯახს, გორის რაიონის სოფელი ქურთას მკვიდრთ, დედა-შვილ მახარაშვილებს ესაჭიროებათ გადაუდებელი სამედიცინო მკურნალობა. საქართველოს ბანკში მათ სახელზე გახსნილია ანგარიში:

სს „საქართველოს ბანკი"

ცენტრალური ფილიალი (კოდი) 220101502

მიმღების ანგარიშის ნომერი 191848300

მიმღები — მახარაშვილი ციური

ქრონიკა. ინფორმაცია.

კათოლიკოს-პატრიარქი შემოქმედისა და ბათუმ-ლაზეთის ეპარქიებს ეწვია

24-25 ნოემბერს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია II, ახალციხისა და ტაო-კლარჯეთის მიტროპოლიტ თეოდორესა (ჭუაძე) და სხვა თანმხლებ პირებთან ერთად გურიას ეწვია. პატრიარქს მიეგებნენ შემოქმედელი მიტრპოლიტი იოსები (კიკვაძე), ბათუმისა და ლაზეთის მიტროპოლიტი დიმიტრი (შიოლაშვილი), ხონისა და სამტრედიის მიტროპოლიტი საბა (გიგიბერია), ჭყონდიდელი მიტროპოლიტი პეტრე (ცაავა), სხალთელი ეპისკოპოსი სპირიდონი (აბულაძე) და შემოქმედის ეპარქიის სამღვდელოება.

კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ მოილოცა ოზურგეთის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის საკათედრო ტაძარი, შემოქმედის ეპარქიის სამღვდელმთავრო რეზიდენციის წმინდა ნინოს სახელობის ეკლესია, ეწვია აჭის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიასა და დედათა მონასტერს. დალოცა მრევლი და სამღვდელოება.

იმავე საღამოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II სოფელ ლიხაურში წმინდა ექვთიმე ღვთისკაცის სახლ-მუზეუმის გახსნას დაესწრო. მუზეუმი ბატონ ზაზა სიორიძის თაოსნობითა და მისივე დაფინანსებით გაიხსნა.

25 ნოემბერს უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ მოილოცა შემოქმედის მაცხოვრის სახელობის საკათედრო ტაძარი; იმავე დღეს გაემგზავრა ბათუმში, სადაც დაესწრო მსოფლიო საოპერო ვარსკვლავის პლაჩიდო დომინგოსა და მსოფლიოში სახელგანთქმულ ქართველ ხელოვანთა კონცერტს.

იმავე საღამოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II თბილისში დაბრუნდა.

უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ აჭის მონასტრიდან 3 დღით თბილისში თამარის საწინამძღვრო ჯვარი წამოაბრძანა. თამარის ჯვარი ყოვლადწმინდა სამების საპატრიარქო ტაძარში წირვის დროს იყო დაბრძანებული. წირვის შემდეგ პატრიარქმა ამბიონიდან დალოცა ქართული ჯარი და სრულიად საქართველო.

იმავე დღეს თამარის საწინამძღვრო ჯვარი აჭის მონასტერს დაუბრუნდა.

ხელდასხმები და ტაძრის კურთხევები

21 ნოემბერს თბილისის ყოვლადწმინდა სამების სახელობის საპატრიარქო ტაძარში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ მღვდლად დაასხა ხელი ბერ-დიაკონ პავლეს (ქებულაძე).

* * *

23 ნოემბერს დიღმის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიაში ცურტაველმა ეპისკოპოსმა იაკობმა (იაკობიშვილი) დიაკვნად აკურთხა თბილისის სასულიერო სემინარიის კურსდამთავრებული ბასილ ნიქაცაძე.

დიაკონი ბასილი დიღმის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიაში იმსახურებს.

* * *

23 ნოემბერს ქაშვეთის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიაში ტყიბულისა და თერჯოლის მიტროპოლიტმა გიორგიმ (შალამბერიძე) მღვდლად დაასხა ხელი ამავე ტაძრის დიაკვანს რევაზ ბაიდაშვილს, ხოლო დიაკვნად აკურთხა ამავე ტაძრის სტიქაროსანი თორნიკე ცერცვაძე.

* * *

23 ნოემბერს ხონისა და სამტრედიის მიტროპოლიტმა საბამ (გიგიბერია) აკურთხა სოფელ გომის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია. წირვის დროს მიტროპოლიტმა საბამ მღვდლად დაასხა ხელი უძლოურის მაცხოვრის ამაღლების სახელობის მამათა მონასტრის ბერ-დიაკონ გიორგის (ჯანელიძე), ხოლო დიაკვნად აკურთხა ამავე მონასტრის ბერი ექვთიმე (ლეჟავა).

გომის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის წინამძღვრად დეკანოზი აკაკი ჟვანია დაინიშნა.

* * *

23 ნოემბერს ზესტაფონის წმინდა გიორგის სახელობის საკათედრო ტაძარში არგვეთისა და უბისის მიტროპოლიტმა ვახტანგმა (ახვლედიანი) დიაკვნად აკურთხა პაატა ჩუბინიძე და სახელად პანტელეიმონი უწოდა.

დიაკონი პანტელეიმონი ზესტაფონის წმინდა იოანე ნათლისმცემლის სახელობის საკათედრო და ზესტაფონის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიებში იმსახურებს.

* * *

25 ნოემბერს ცურტაველმა ეპისკოპოსმა იაკობმა (იაკობიშვილი) აკურთხა ვარკეთილის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია (მეურნეობის ტერიტორია). წირვის დროს ეპისკოპოსმა იაკობმა დიაკვნად აკურთხა თბილისის სასულიერო სემინარიისა და აკადემიის ლექტორი გიორგი შაშვიაშვილი.

დიაკონი გიორგი დიდუბის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის შობის სახელობის ეკლესიაში იმსახურებს.

* * *

21 ნოემბერს, მთავარანგელოზობის დღესასწაულზე, ცაგერისა და ლენტეხის მთავარეპისკოპოსმა სტეფანემ (კალაიჯიშვილი) აკურთხა ლენტეხის რაიონის სოფელ სასაშის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის შობის სახელობის ტაძარი.

დაჯილდოვება

21 ნოემბერს ყოვლადწმინდა სამების სახელობის საპატრიარქო ტაძარში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ დააჯილდოვა სამღვდელოება: **გამშვენებული ჯვრით** — ქუთაის-გაენათის ეპარქიის მღვდელმსახური, დეკანოზი ირაკლი სახოკია; **ოქროს ჯვრითა და დეკანოზის წოდებით** — სოფელ დიღმის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის წინამძღვარი, მღვდელი შიო მენაბდე, ნაძალადევის მაცხოვრის ამაღლების სახელობის ეკლესიის წინამძღვარი, მღვდელი ბაქარ სოსელია, წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ეკლესიის (ლურჯი მონასტერი) მღვდელმსახური, მღვდელი ნიკოლოზ ბურდილაძე, ზესტაფონის წმინდა ნინოს სახელობის ეკლესიის წინამძღვარი, მღვდელი კირიონ მუშკუდიანი, ერთაწმინდის წმინდა ევსტათი პლაკიდას სახელობის ეკლესიისა და ვაშლიჯვარის წმინდა გიორგის სახელობის სამხედრო ეკლესიის წინამძღვარი — მღვდელი თევდორე სულუაშვილი.

* * *

25 ნოემბერს უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ მოილოცა შემოქმედის მაცხოვრის სახელობის საკათედრო ტაძარი, იქ არსებული მამათა მონასტერი და დააჯილდოვა ეპარქიის სამღვდელოება: **არქიმანდრიტის წოდებით** — შემოქმედის მაცხოვრის სახელობის მამათა მონასტრის კეთილმოწესე, იღუმენი ელიზბარი (ბაბუხადია); **იღუმენის წოდებით** — აცანის წმინდა ნინოს სახელობის მამათა მონასტრის წინამძღვარი, მღვდელ-მონაზონი გაბრიელი (კახელაშვილი); **გამშვენებული ჯვრით:** დეკანოზი კვირიკე ხეცურიანი, დეკანოზი საბა ჟღენტი, დეკანოზი გიორგი ჟღენტი, დეკანოზი შალვა ჯინჭარაძე, დეკანოზი შალვა გორგაძე, აჭის წმინდა გიორგის სახელობის დედათა მონასტრის წინამძღვარი, იღუმენია ალექსანდრა (ჩაჩიბაია), ერკეთის მთავარანგელოზთა სახელობის დედათა მონასტრის წინამძღვარი, იღუმენია მარიამი (ფოჩხუა), ჯიხეთის ყოვლადწმინდა სამების სახელობის დედათა მონასტრის კეთილმოწესე, იღუმენია ირინე (სულაკაძე); **ოქროს ჯვრითა და დეკანოზის წოდებით** — მღვდელი მირიან ფირცხალაიშვილი და მღვდელი იოანე ორმოცაძე.

შეცდომების გასწორება

გაზეთ „საპატრიარქოს უწყებანის" წინა ნომერში, დეკანოზ ალექსი ადამაშვილთან ინტერვიუში, გაიპარა უნებლიე შეცდომა: დეკანოზ ელიზბარ შალიკაშვილის ნაცვლად უნდა ყოფილიყო **დეკანოზი ელიზბარ ოდიშვილი**, დეკანოზ ღვთისო ოდიშვილის ნაცვლად უნდა ყოფილიყო **დეკანოზი ღვთისო შალიკაშვილი**, ხოლო დეკანოზ გიორგი მეფიაშვილის ნაცვლად — **დეკანოზი გიორგი გეთიაშვილი.**

გაზეთის რედაქცია შენდობას ითხოვს ქაშვეთის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის სამღვდელოებისაგან.

საქართველოს საპატრიარქოსთან არსებული ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრის განცხადება

საქართველოს საპატრიარქოსთან არსებული ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრში (წმინდა სამების საკათედრო ტაძარი) ყოველდღე იმართება შემეცნებითი საუბრები. დასწრება თავისუფალია.

ხუთშაბათი — 2.12.10 — წარდგინება პოეტ კახაბერ კაპანაძის წიგნისა — „მზე სიცოცხლისა" **(18:00 სთ.).**

პარასკევი — 3.12.10 — თემა: „მარხვისა და ლოცვის შესახებ". საუბარს წარმართავს წმ. სამების ტაძრის მღვდელთმსახური, დეკანოზი იაკობ აბაშიძე **(18:00 სთ.).**

კვირა — 5.12.10 — ნაჩვენები იქნება გიორგი კალანდიას ფილმი — „ერთი ჭოროხის შვილები" **(15:00 სთ.).**

ორშაბათი — 6.12.10 — „ზიარების წინა ლოცვების განმარტება". საუბარს წარმართავს ნაძალადევის ღვთისმშობლის შობის სახელობის ტაძრის მღვდელმსახური, მღვდელი გიორგი წეროძე. **(18:00 სთ.).**

სამშაბათი — 7.12.10 — „რიყეზე „ბუდა ბარი"-ს მიზანშეწონილობის შესახებ". საუბარს წარმართავს წმინდა სამების ტაძრის მღვდელმსახური, დეკანოზი ბიძინა გუნია **(18:00 სთ.).**

ოთხშაბათი — 8.12.10 — საქართველოს მწერალთა კავშირის საღამო. პოეტ მურმან ლებანიძის ხსოვნის საღამო **(18:00 სთ.).**

ხუთშაბათი — 9.12.10 — შემოქმედებითი საღამო ერეკლე საღლიანთან ერთად (18:00 სთ.).

პარასკევი — 10.12.10 — „ევთანაზია და მისი სულიერი პრობლემები"

საუბარს წარმართავს იოანე ღვთისმეტყველის ტაძრის მღვდელმსახური, მღვდელი კონსტანტინე გიორგაძე **(18:00 სთ.).**

კვირა — 12.12.10 — ნაჩვენები იქნება კახაბერ იმნაიშვილის ფილმი — „გურჯისტანის ვილაიეთი"— I-II ნაწილი **(15:00 სთ.).**

საპატრიარქოს რელიგიური ტურიზმის დეპარტამენტი

საპატრიარქოს რელიგიური ტურიზმის დეპარტამენტი გიწვევთ მოილოცოთ წმინდა ადგილები:

მეტეხი-ერთაწმინდა 4 დეკემბერი; შაბათი; გასვლა 8 სთ; ფასი 15 ლ;

წილკანი-მუხრანი-ძალისი 5 დეკემბერი; კვირა; გასვლა 8 სთ; ფასი 14 ლ;

როზით. წელიწადი და 4 თვეა, რაც ჩვილ ილიას მარჯვენა თირკმელში ჩადგმული აქვს მილი, ხოლო მარცხენა შარდსაწვეთი ამოტანილია კანზე. ილია იმერლიშვილი ოჯახში მეოთხე შვილია.

გთხოვთ, გამოიჩინოთ გულისხმიერება და შეეწიოთ პატარა ილიას ლოცვით და შეძლებისდაგვარად ფინანსურად.

ბავშვის დასახმარებლად გახსნილია ანგარიში:

სააქციო საზოგადოება „საქართველოს ბანკი"; ცენტრალური ფილიალი (კოდი) 220101502

მიმღების დასახელება: ილია იმერლიშვილის დახმარების ფონდი. მიმღების ანგარიშის ნომერი: GE47BG0000000270473600

მაგთის, ბილაინის აბონენტებს შეუძლიათ დარეკონ სპეცნომრებზე : 700861 (ზარის ღირებულებაა 1 ლარი), ხოლო ჯეოსელის აბონენტებს — 700681.

ბავშვის დედა შენდობას ითხოვს მკითხველის წინაშე, ჯეოსელის ნომრის არასწორად მითითების გამო.

დაწვრილებითი ინფორმაცია იხილეთ ინტერნეტსაიტზე —www.support-ilia.com

საკონტაქტო ტელეფონები: 23-10-86; 874-555-277 — ბავშვის დედა ნაზი ამონაშვილი.

ხელდასხმა

28 ნოემბერს ნინოწმინდის წმინდა ნინოს სახელობის საკათედრო ტაძარში საგარეჯოსა და ნინოწმინდის ეპისკოპოსმა ლუკმა (ლომიძე) დიაკვნად აკურთხა თბილისის სასულიერო აკადემიის საღვთისმეტყველო ინსტიტუტის ფსიქოლოგიისა და რელიგიათმცოდნეობის ფაკულტეტის V კურსის **სტუდენტი ალექსი გელაშვილი.**

დიაკონი ალექსი თბილისის ყოვლადწმინდა სამების სახელობის საპატრიარქო ტაძარში იმსახურებს.

* * *

5 დეკემბერს თბილისის ყოვლადწმინდა სამების სახელობის საპატრიარქო ტაძარში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ მღვდლად დაასხა ხელი სიონის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის საპატრიარქო ტაძრის **დიაკვანს თეიმურაზ მჟავანაძეს.**

დაჯილდოება

5 დეკემბერს თბილისის ყოვლადწმინდა სამების სახელობის საპატრიარქო ტაძარში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ დააჯილდოვა სამღვდელოება:

მეორე გამშვენებული ჯვრით — მეტეხის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის შობის სახელობის ეკლესიის წინამძღვარი, დეკანოზი აკაკი მელიქიძე;

არქიმანდრიტის წოდებით — მისაქციელის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის შობის სახელობის ეკლესიის წინამძღვარი, ილუმენი გაბრიელი (ოდიშელიძე);

გამშვენებული ჯვრით — ორხევის წმინდა ნინოს სახელობის ეკლესიის წინამძღვარი, დეკანოზი მელქისედეკ ხვედელიძე;

ოქროს ჯვრითა და დეკანოზის წოდებით — საბურთალოს წმინდა ანტონ მარტყოფელის სახელობის ეკლესიის მღვდელმსახური, მღვდელი ილია მაღლაფერიძე.

სამძიმარი

საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრი მწუხარებით იუწყება, რომ საპატრიარქოს ხუროთმოძღვრების ცენტრის თანამშრომელს თამარ კვანტალიანს გარდაიცვალა მამა — ვლადიმერ კვნატალიანი და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

მკითხველს ვთხოვთ, ლოცვებში მოიხსენიოს ახლად შესვენებული ვლადიმერის სული.

***

საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრი მწუხარებით იუწყება, რომ საპატრიარქოს თანამშრომელს ირაკლი გუნიავას გარდაიცვალა დედა — ნანა დვალიშვილი და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

მკითხველს ვთხოვთ, ლოცვებში მოიხსენიოს ახლად შესვენებული ნანას სული.

მეოხნი

ღირსი ალიპი მესვეტე (+640)

9 დეკემბერი

ღირსი ალიპი მესვეტე პაფლაგონიის ქალაქ ადრიანოპოლში დაიბადა. წმინდანს მამა ადრე გარდაეცვალა. დაქვრივებულმა დედამ მთელი ქონება გლახაკებს დაუნაწილა, შვილი ეპისკოპოს თეოდორეს მისცა აღსაზრდელად, თავად კი ტაძარში დაიწყო მსახურება და დიაკონისად კურთხევის ღირსი შეიქნა.

წმინდა ალიპის სიყმაწვილიდანვე სურდა, უფლისთვის მიეძღვნა თავი და განმარტოებულ ცხოვრებას ესწრაფოდა, მაგრამ ეპისკოპოსი თეოდორე არ იშორებდა. ერთხელ, როცა წმინდანი თავის ეპისკოპოსს ახლდა კონსტანტინოპოლში, მას საღვთო ხილვით გამოეცხადა წმინდა მოწამე ეფემია, რომელმაც ადრიანოპოლში დაბრუნება და მისი სახელობის ტაძრის აგება უბრძანა. ნეტარი დამორჩილდა ზეციურ კურთხევას და ადრიანოპოლელი ქრისტიანების შემოწირულობებით მიტოვებული წარმართული სასაფლაოს ადგილას წმინდა

მე-9 საავადმყოფოს ტერიტორიაზე გადავიდეს.

სტუდენტებმა პატრიარქს თავისი შესრულებული წმინდა ანდრია პირველწოდებულისა და წმინდა ბარბარეს ხატები აჩუქეს.

კათოლიკოს-პატრიარქმა მამა გიორგი ეკლესიის უმაღლეს ჯილდოზე, წმინდა გიორგის ორდენზე წარადგინა, რომელიც მას საზეიმოდ ბარბარობის წირვის დასასრულს გადაეცემა.

„თქვენი რწმენა, სიყვარული და სასოება გადაარჩენს საქართველოს! მე ამაში დარწმუნებული ვარ. ასევე მინდა ვთქვა, რომ დღეს მრავალი პრობლემის წინაშე დგას ჩვენი სამშობლო, მაგრამ ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ლოცვითა და მეოხებით, და წმინდა დედათა და მამათა ლოცვით, ღმერთი გადაარჩენს და გაამთლიანებს სრულიად საქართველოს", — ბრძანა კათოლიკოს-პატრიარქმა.

კათოლიკოს-პატრიარქი სტუმრად საპატრიარქოს ტელევიზიაში

14 დეკემბერს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია II საპატრიარქოს ტელევიზია „ერთსულოვნებას" ეს-

ტუმრა, სადაც განახლებული დარბაზის პრეზენტაცია მოეწყო. ტელევიზიის ფოიეში კათოლიკოს-პატრიარქს მიეგებნენ საპატრიარქოს ტელევიზია „ერთსულოვნების" გენერალური დირექტორი, ჭყონდიდელი მიტროპოლიტი პეტრე (ცაავა), დირექტორის მოადგილე, დეკანოზი ზურაბ ცხოვრებაძე, ტელევიზიის თანამშრომლები.

ახალ დარბაზში მართლმადიდებულური ფილმების ფესტივალში გამარჯვებული სურათი — „დავით არსენიშვილი" აჩვენეს. კინოჩვენებას კათოლიკოს-პატრიარქი ილია II, ბორჯომისა და ბაკურიანის მიტროპოლიტი სერაფიმე (ჯოჯუა), ახალციხესა და ტაო-კლარჯეთის მიტროპოლიტი თეოდორე (ჭუაძე), საპატრიარქოს განათლების ცენტრის თავმჯდომარე, რუსთავისა და მარნეულის მთავარეპისკოპოსი იოანე (გამრეკელი) და ცურტავის ეპისკოპოსი იაკობი (იაკობაშვილი) დაესწრნენ.

მართლმადიდებლური ფილმების ყოველწლიური ფესტივალი პირველად 5 წლის წინ საქართველოს ეკლესიის საჭეთმპყრობლის ლოცვა-კურთხევით ჩატარდა. ფესტივალის ორგანიზატორების აზრით, ეს საღამო კათოლიკოს-პატრიარქისთვის გარკვეულწილად გაწეული სამუშაოს წარდგინებაც იყო.

კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ ტელევიზიის თანამშრომლები დალოცა და შემდგომი წარმატებები უსურვა.

ამავე დღეს ფესტივალ „წმინდა ანდრიას ჯვარში" გამარჯვებული სხვა ფილმების ჩვენებაც გაიმართა.

ხელდასხმა

5 დეკემბერს ბათუმის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის შობის სახელობის საკათედრო ტაძარში ბათუმისა და ლაზეთის მიტროპოლიტმა დიმიტრიმ (შიოლაშვილი) დიაკვნად აკურთხა თბილისის სასულიერო აკადემიის კურსდამთავრებული **სულხან ჭიკაიძე** და სახელად საბა უწოდა.

დიაკონი საბა თბილისის ყოვლადწმინდა სამების სახელობის საპატრიარქო ტაძარში იმსახურებს.

* * *

5 დეკემბერს ნინოწმინდის წმინდა ნინოს სახელობის საკათედრო ტაძარში საგარეჯოსა და ნინოწმინდის ეპისკოპოსმა ლუკამ (ლომიძე) დიაკვნად აკურთხა თბილისის სასულიერო აკადემიის III კურსის სტუდენტი **დავით ტატანაშვილი**.

დიაკონი დავითი თბილისის ყოვლადწმინდა სამების სახელობის საპატრიარქო ტაძარში იმსახურებს.

* * *

13 დეკემბერს რუსთავის წმინდა ვახტანგ გორგასლის სახელობის საკათედრო ტაძარში რუსთავისა და მარნეულის მთავარეპისკოპოსმა იოანემ (გამრეკელი) დიაკვნად აკურთხა ამავე ტაძრის სტიქაროსანი, ბათუმის სასულიერო სემინარიის კურსდამთავრებული, ნიკოლოზ პეტროვსკი.

დიაკონი ნიკოლოზი რუსთავის წმინდა ვახტანგ

გორგასლის სახელობის საკათედრო ტაძარში იმსახურებს.

ტაძრის კურთხევა და ხელდასხმა

13 დეკემბერს ცურტავის ეპისკოპოსმა იაკობმა (იაკობიშვილი) სამღვდელოების თანამწირველობით აკურთხა იუსტიციის სამინისტროსა და პროკურატურის ეზოში ახლად აშენებული წმინდა მეფის ვახტანგ გორგასლის სახელობის ეკლესია, რომელიც სამინისტროსა და პროკურატურის თანამშრომლების ინიციატივითა და მონდომებით აშენდა.



ნირვის დროს ეპისკოპოსმა იაკობმა დიაკვნად აკურთხა თბილისის სასულიერო სემინარიის კურსდამთავრებული **აბო მაჩურიშვილი** და სახელად **ვახტანგი** უწოდა.

დიაკონი ვახტანგი ტაბახმელაში, ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ეკლესიაში იმსახურებს.

* * *

12 დეკემბერს ყოვლადწმინდა სამების სახელობის საპატრიარქო ტაძარში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ ეკლესიაში ერთგული სამსახურისათვის დააჯილდოვა მცხეთა-თბილისის ეპარქიის სამღვდელოება:

მეორე გამშვენებული ჯვრით — სვეტიცხოვლის თორმეტი მოციქულის სახელობის საპატრიარქო ტაძრის წინამძღვრის მოადგილე, **არქიმანდრიტი სერაფიმე (ჭედია);**

არქიმანდრიტის წოდებით — სვეტიცხოვლის თორმეტი მოციქულის სახელობის საპატრიარქო ტაძრის მღვდელმსახური, **იღუმენი ილია (კარტოზია);**

მიტრით — სვეტიცხოვლის თორმეტი მოციქულის სახელობის საპატრიარქო ტაძრის მღვდელმსახურები: **დეკანოზი გიორგი ხატიაშვილი, დეკანოზი მიქაელი მაჭარაძე, დეკანოზი თეიმურაზ შიოლაშვილი, დეკანოზი ალექსი მარსაგიშვილი;** თბილისის წმინდა პანტელეიმონ მკურნალის სახელობის ეკლესიის (ვერაზე) მღვდელმსახური, **დეკანოზი გიორგი ცნობილაძე;**

გამშვენებული ჯვრით — ყოვლადწმინდა სამების სახელობის საპატრიარქო ტაძრის მღვდელმსახურები: **დეკანოზი ვახტანგ კვიჟანიძე და დეკანოზი პეტრე კვარცხელია;**

ოქროს ჯვრითა და დეკანოზის წოდებით — ვარკეთილის წმინდა ილია მართლის სახელობის ეკლესიის წინამძღვარი, **მღვდელი სამოელ ზვიადაური;** დიღმის წმინდა ნიკოლოზის სახელობის ეკლესიის წინამძღვარი, **მღვდელი მერაბ დეკანოსიძე;**

იღუმენიას წოდებით — ანტიოქიის წმინდა სტეფანე პირველმოწამის სახელობის დედათა მონასტრის წინამძღვარი, **მონაზონი ბარბარე (კაპანაძე);**

ოქროს ჯვრითა და იღუმენიას წოდებით — მცხეთის, ოლღას წმინდა ეკატერინეს სახელობის დედათა მონასტრის წინამძღვარი, **მონაზონი ანა (ქარდავა).**

* * *

13 დეკემბერს რუსთავის წმინდა ვახტანგ გორგასლის სახელობის საკათედრო ტაძარში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ წმინდა სინოდის მღვდელმთავართა თანამწირველობით სადღესასწაულო წირვა აღასრულა. წირვის შემდეგ დალოცვრევლი და ეკლესიაში ერთგული სამსახურისათვის მიტრის ტარების უფლებით დააჯილდოვა რუსთავისა და მარნეულის ეპარქიის სამღვდელოება: ძველი რუსთავის დასახლების წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის წინამძღვარი, **დეკანოზი გიორგი გორგიძე**, რუსთავის წმინდა ვახტანგ გორგასლის სახელობის საკათედრო ტაძრის მღვდელმსახური, **დეკანოზი ანდრია აბაშიძე** და მარნეულის წმინდა დავით აღმაშენებლის სახელობის ეკლესიის წინამძღვარი, **დეკანოზი შალვა შალვაშვილი.**

განცხადება

გაიხსნა თანამედროვე მართლმადიდებელ ქართველ ხელოვანთა საეკლესიო ნამუშევრების საიტი www.icons.ge. საიტზე ნამუშევრების განთავსება უფასოა. დაინტერესებულ პირებს გთხოვთ გამოგვეხმაუროთ. დამატებითი ინფორმაციისთვის დაუკავშირდით საიტის ავტორს მალხაზ ზამთარაძეს — მობ. 879 55 22 26

icons.ge

უფასო სამედიცინო კონსულტაცია

„ჯვრის მამასთან“ არსებული სამედიცინო სამსახური აცხადებს უფასო კონსულტაციებს:

ფთიზიატრი, პულმონოლოგი — 18 დეკემბერი, 12.00-13.00 სთ.;

ანგიოლოგი — 18 დეკემბერს, 13.00-14.00 სთ.;

ალერგოლოგი — 20 დეკემბერს, 16.00-17.00 სთ.;

თერაპევტი (გასტროენტეროლოგი) — 21 დეკემბერს, 16.00-17.00 სთ.;

ოტორინოლარინგოლოგი — 22 დეკემბერს, 16.30-17.00 სთ.;

კარდიოლოგი ყოველდღე, 12.00-14.00 სთ. შაბათ-კვირის გარდა.

ყბა-სახის ქირურგის (სახის ანთებითი პროცესები, ტრავმული დაზიანებები, ანომალიები), ბავშვთა ორთოპედის, ბავშვთა კარდიოლოგის, ბავშვთა ნევროპათოლოგის, ინფექციონისტის, უროლოგის, გინეკოლოგის და ნეფროლოგის მიღების საათებთან დაკავშირებით, დაგვირეკეთ:

8 99 57 65 31

ლებს თხოვნას. წმინდანის ცხოვრებაში ასეთი რამ არის აღწერილი: წმინდა ნიკოლოზი ჯერ კანონიზირებული არ იყო, მაგრამ ხალხი უკვე თაყვანს სცემდა; ერთმა უბრალო ადამიანმა მისი ხატი შეუკვეთა და მსოფლიო საპატრიარქოს საკათედრო ტაძარში შეიტანა. პატრიარქმა დაინახა იგი და განრისხდა: როგორ, ის ხომ ჯერ კანონიზირებული არ არის? და იმ კაცს ეს ხატი უკანვე გაატანეს. ამ ამბიდან მოკლე ხანში პატრიარქი გემით მოგზაურობდა. გემმა ჩაძირვა დაიწყო და პატრიარქი ილუპებოდა. ამ დროს მან იხილა ზღვაზე, როგორც ხმელეთზე მავალი წმინდა ნიკოლოზი, რომელმაც ხელი ჩაჰკიდა და ამოიყვანა. პატრიარქმა უარი თქვა მისი ხატის ეკლესიაში დაბრძანებაზე, წმინდა ნიკოლოზმა კი გადაარჩინა. საპატრიარქოში მობრუნებისთანავე პატრიარქმა მორჩილებს მოუხმო და დაავალა, ხატი დაუყოვნებლად დაებრუნებინათ ეკლესიაში.

წმინდა ნიკოლოზი შეგეწიოთ თქვენ და სრულიად საქართველოს! წმინდა ნიკოლოზმა მოგცეთ დიდი და მტკიცე მართლმადიდებელი სარწმუნოება, სიყვარული შეუორგულებელი, მტკიცე სასოება, იმედი ღვთისა, იმედი ადამიანისა და იმედი მომავლისა! წმინდა ნიკოლოზის ლოცვით ყველაფერი კარგად იქნება და საქართველო აუცილებლად გაბრწყინდება!

ჩვენთან არს ღმერთი!

ქრონიკა. ინფორმაცია.

დაჯილდოება

17 დეკემბერს, ყოვლადწმინდა სამების საპატრიარქოს ტაძარში, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ ეკლესიის უმაღლესი ჯილდო — წმინდა გიორგის ორდენი გადასცა სიონის საპატრიარქო ტაძრის წინამძღვარს, პროტოპრესვიტერ გიორგი ზვიადაძეს.

გულითადად ვულოცავთ მამა გიორგის ამ მაღალ ჯილდოს!

* * *

17 დეკემბერს, ყოვლადწმინდა სამების საპატრიარქოს ტაძარში, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ მეორე გამშვენებული ჯვრით დააჯილდოვა საპატრიარქოს პრესცენტრის ხელმძღვანელი, გაზეთ „საპატრიარქოს უწყებანის" რედაქტორი, წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ლურჯი მონასტრის წინამძღვარი, დეკანოზი დავით შარაშენიძე.

გულითადად ვულოცავთ მამა დავითს!

უფასო სამედიცინო კონსულტაცია

„ჯვრის მამასთან" არსებული სამედიცინო სამსახური აცხადებს უფასო კონსულტაციებს:

ოფთალმოლოგი — 23 დეკემბერს, 15.00-16.00 სთ.;

რევმატოლოგი — 23 დეკემბერს, 16.30-18.00 სთ.;

ტრავმატოლოგ-ორთოპედი — 25 დეკემბერს, 12.00-13.00 სთ.;

ანგიოლოგი — 25 დეკემბერს, 13.00-14.00 სთ.;

ქრონიკა. ინფორმაცია.

დაჯილდოება

26 დეკემბერს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნატერსმა ილია II-მ ეკლესიაში ერთგული სამსახურისათვის დააჯილდოვა სამღვდელოება:

მიტრით — თბილისის ნაძალადევის წმინდა დიდმოწამე ბარბარეს სახელობის ეკლესიის მღვდელმსახური და თბილისის სასულიერო სემინარიის პრორექტორი, *დეკანოზი გელასი ნატროშვილი.*

გამშვენებული ჯვრით — გლდანის „ლომისის" წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის მღვდელმსახური, *დეკანოზი დავით დათუაშვილი;* ქუთაისის საფიჩხიის მაცხოვრის ამაღლების სახელობის ეკლესიის მღვდელმსახური, *დეკანოზი იოსებ მინდიაშვილი.*

დეკანოზის წოდებით — ქუთაისის წმინდა ნინოს სახელობის დედათა მონასტრის (თაბუკაშვილის ქუჩა) წინამძღვარი, *მღვდელი აბიბოს გუბაევი;* ქუთაისის წმინდა იოანე ნათლისმცემლის სახელობის ეკლესიის წინამძღვარი, *მღვდელი თომა სოსელია.*

ოქროს ჯვრითა და დეკანოზის წოდებით — ქუთაის-გაენათის ეპარქიის მღვდელმსახურნი: *მღვდელი მატათა ქარქაშაძე, მღვდელი ლუკიანე ხურცია და მღვდელი ზენონ ხახალეიშვილი.*

ხელდასხმა

19 დეკემბერს ყოვლადწმინდა სამების სახელობის საპატრიარქო ტაძარში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ მღვდლად დაასხა ხელი ამავე ტაძრის ღვთისმსახურს, **ბერ-დიაკონ გაბრიელს (ჯიქია).**

მღვდელ-მონაზონი გაბრიელი თბილისის წმინდა არჩილისა და ლუარსაბის სახელობის ეკლესიის მღვდელმსახურად დაინიშნა.

19 დეკემბერს სანზონის წმინდა ნიკოლოზის სახელობის ეკლესიაში ცურტაველმა ეპისკოპოსმა იაკობმა (იაკობიშვილი) მღვდლად დაასხა ხელი ყოვლადწმინდა სამების სახელობის საპატრიარქო ტაძრის ღვთისმსახურს, **დიაკონ გაბრიელ ჭკადუას.**

მღვდელი გაბრიელი ავჭალის მაცხოვრის ნათლისღების სახელობის ეკლესიის მღვდელმსახურად დაინიშნა.

19 დეკემბერს სანზონის წმინდა ნიკოლოზის სახელობის ეკლესიაში ცურტაველმა ეპისკოპოსმა იაკობმა (იაკობიშვილი) დიაკვნად აკურთხა თბილისის სასულიერო სემინარიის IV კურსის სტუდენტი **ალექსანდრე გიორგაძე.**

დიაკონი ალექსანდრე ყოვლადწმინდა სამების სახელობის საპატრიარქო ტაძრის ღვთისმსახურად დაინიშნა.

19 დეკემბერს ნინოწმინდის წმინდა ნინოს სახელობის საკათედრო ტაძარში საგარეჯოსა და ნინოწმინდის ეპისკოპოსმა ლუკამ (ლომიძე) დიაკვნად აკურთხა თბილისის სასულიერო აკადემიის კურსდამთავრებული **ბონდო გოლუბიანი** და სახელად **ბენედიქტე** უწოდა.

26 დეკემბერს გარდაბნის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის შობის სახელობის საკათედრო ტაძარში გარდაბნისა და მარტყოფის ეპისკოპოსმა იაკობმა (იაკობიშვილი) დიაკვნად აკურთხა თბილისის სასულიერო აკადემიის III კურსის სტუდენტი **გიორგი ზაქარიაძე.**

დიაკონი გიორგი ყოვლადწმინდა სამების სახელობის საპატრიარქო ტაძარში იმსახურებს.

უფასო სამედიცინო სამსახურის განცხადება

„ჯვრის მამასთან" არსებული სამედიცინო სამსახურის უფასო კონსულტაციები დროებით შეჩერდება 30 დეკემბრიდან 10 იანვრამდე.

ფილმის ჩვენება კინოს სახლში

13 დეკემბერს კინოს სახლში გაიმართა საპატრიარქოს ტელევიზია „ერთსულოვნების" ეგიდით გადაღებული დოკუმენტური ფილმ „ხილული სასწაულების" ჩვენება. ფილმი თბილისის წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ტაძრის წინამძღვრის, არქიმანდრიტ სოკრატის (ჭულუხაძე) მიერ კვეთებულის ლოცვებით განკურნებული ადამიანების ისტორიებს ასახავს. ფილმის რეჟისორია თინათინ ჭაბუკიანი.

შეცდომების გასწორება

გაზეთ „საპატრიარქოს უწყებანის" №43 მომზადდა უაღრესად დაჩქარებულ რეჟიმში, რის გამოც გაიპარა რამდენიმე უხერხული შეცდომა. ჩვენი გაზეთის მკითხველს ვთხოვთ შენდობას.